საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცრუობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 19 ოქტომბერი. 2016 წ. №194 (8086), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

თუ გვინდა, რომ ნამდვილად ავიხდინოთ ჩვენი ქართული ოცნება, პირველ გამარჯვებას, ანუ პირველი ტურის გამარჯვებას, 30 ოქტომბერს უფრო დამაჯერებელი გამარჯვება უნდა მოვაყოლოთ! პარლამენტში კონსტიტუციური უმრავლესობა ქვეყნის თავისუფლების, სწრაფი განვითარების, კეთილდღეობის უტყუარი საწინდარია!

③ ელდარ ნადირაძე: **რა უნდა, რა სურს ამ ბოღმით გატენილ გულნამცეცა ხალხს?**

გია გაბრიჩიძე: **უნიჭო შარლატანების ბოლო გაფართხალება** ③

ღმერთო, შეაყვარე ქართველს საქართველო!





④ ოთარ ხუციშვილი: **ქართულმა ოცნებამ „პიროსის გამარჯვება“ მოიპოვა?!**

კენეტ იალოვიცი: **ძველი ლიდერები გვერდზე უნდა გადგნენ** ⑧

ლარა ლინდერმანი: **ძალაუფლების კონსოლიდაცია და ერთპარტიულ მმართველობასთან დაახლოება „ოცნებისთვის“ შეცდომა იქნება...**

ვალუტის გადამცვლელებმა რომ არ მოგვატყუონ!

⑦

ახლა ავშენდებით, თუ ავშენდებით,

ანუ გამარჯვებული პარტიების სოციალურ-ეკონომიკური დაპირებები ②



⑤

სააკაშვილის აჩრდილი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში

როსტომ ჩხეიძე ⑥

ოჰ, ეს პილატეს სახარებანი

ბერნე და მისი ქართველი მეგზური

ლევან იზორია:
ჩვენი თანამშრომლობა და პარტნიორობა საფრანგეთთან უფრო ღრმავდება

ბათუმის პორტში საფრანგეთის ეროვნული სამხედრო ფლოტის ხომალდი "პრემიე მეტრ ლ'ერი" შემოვიდა. ფრანგული სამხედრო გემის ვიზიტი საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ფრანგულ-ქართული თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა და ნატოს წევრი ქვეყნების მიერ საქართველოსა და რეგიონისადმი ინტერესსა და მხარდაჭერას ისახავს მიზნად.

ფრანგულ გემზე ოფიციალურ მიღებას საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია თანმხლებ პირებთან ერთად დაესწრო.

საფრანგეთის თავდაცვის მინისტრის ჟან-ივ ლე დრიანის გადაწყვეტილებით, ღონისძიების ფარგლებში, საფრანგეთის ელჩმა საქართველოში პასკალ მენიემ ქართულ მხარეს სამთო აღჭურვილობა გადასცა. ფრანგული მხარის საჩუქარი საჩხერის სამთო მომზადების სკოლის მეთაურმა, ვიცე-პოლკოვნიკმა ივანე ცხადაძემ ჩაიბარა.

„ამერიკული სამხედრო ხომალდის შემდეგ უკვე ფრანგულ სამხედრო ხომალდს ვსტუმრობთ, რაც ნათელი დადასტურებაა, რომ ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის სახელმწიფოები მხარს უჭერენ საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესს. ეს ასევე მკაფიო გამოხატულებაა იმისა, რომ გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები ვარშავის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების კუთხით, კერძოდ შავი ზღვის აუზში უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით", — აღნიშნა ლევან იზორიამ.

სამხედრო ხომალდი ექსპლუატაციაში 1981 წლის 5 დეკემბერს შევიდა. „პრემიე მეტრ ლ' ერი" პატრულირებას უკვე 25 წელია, ახორციელებს. მისი ეკიპაჟი 7 ოფიცრის, 58 საზღვაო ოფიცრისა და 24 მეზღვაურისგან შედგება.

თავდაპირველად, ფრანგული ხომალდის მთავარი დანიშნულება და მისია ზღვის სანაპირო წყლებში ნავსაწინააღმდეგო საბრძოლო ამოცანის შესრულება იყო. დღეს კი ხომალდს მრავალმხრივი ფუნქცია აქვს და ისეთ ოპერაციებშია ჩართული, როგორიცაა — სტრატეგიული დანიშნულების წყალქვეშა ძალების მხარდაჭერა; საზღვაო მონაკვეთების მონიტორინგი; ზღვისიქითა ტერიტორიების საზღვაო მონიტორინგი; სამაშველო ოპერაციები და საზღვაო პოლიცია.

ფრანგული სამხედრო ხომალდი „პრემიე მეტრ ლ'ერი" ბათუმის პორტს 20 ოქტომბერს დატოვებს.

საქართველო-ჩინეთის მეგობრობის ასოციაციას საპატიო პრეზიდენტი ჰყავს

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საქართველო-ჩინეთის მეგობრობის ასოციაციამ საპატიო პრეზიდენტი აირჩია. ოფიციალურ ოქმს ამის შესახებ ხელი გუშინ მოეწერა. დოკუმენტი ასოციაციის დამაარსებლებმა — საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ და საქართველო-ჩინეთის ეკონომიკურ-კულტურული თანამშრომლობის ცენტრმა გააფორმეს.

პალატასთან არსებული ასოციაციის პრეზიდენტი ხელმოწერილი ოქმის თანახმად ჩინეთში გავლენიანი ბიზნეს-მენეჯერი ჯიანჯუნ ზანგი გახდა. სიმბოლურად საპატიო პრეზიდენტობის სიგელი მას საქართველოს პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა — დიმიტრი ქუმსიშვილმა გადასცა.

საქართველო-ჩინეთის მეგობრობის ასოციაცია საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და საქაღთველო-ჩინეთის ეკონომიკურ-კულტურული თანამშრომლობის ცენტრის ერთობლივი ინიციატივით დაარსდა. ორგანიზაციის მიზანი ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური, სამეცნიერო, კომერციული, საგანმანათლებლო, სოციალური და კულტურული ურთიერთობების გაღრმავებაა. ასოციაციას უფლება აქვს, გაწევრიანდეს სხვადასხვა ორგანიზაციებში, ჰქონდეს პირდაპირი საერთაშორისო ურთიერთობები, დადოს შეთანხმებები. ასოციაციის წესდების თანახმად მისი ძირითადი მოვალეობა ბიზნეს, სასწავლო და შემეცნებითი ღონისძიებების ორგანიზება და ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა იქნება.

„ნაცების" და „რუსთავი-2"-ის იაფფასიანი კამპანია

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" აღმასრულებელი მდივანი ირაკლი კობახიძე სამოქალაქო საზოგადოების სახელით გავრცელებულ მიმართვას „ნაციონალური მოძრაობის" დაგეგმილ იაფფასიან კამპანიას უწოდებს, რომელსაც მისი თქმით, „რუსთავი 2" ახორციელებს. კობახიძის განცხადებით, კამპანიაში ჩართული არიან „ნაციონალურ მოძრაობასთან" ასოცირებული ადამიანები, რომლებიც სამოქალაქო სექტორის სახელით გამოდიან.

„რეალურად, ამ კამპანიას არ აქვს საფუძველი. არავითარი საფრთხე საკონსტიტუციო უმრავლესობაში არ არსებობს. პირიქით, ჩვენ დავამტკიცეთ გასული ოთხი წლის განმავლობაში, რომ მხოლოდ ქვეყნის წინ წაყვანა გვსურს და შეგვიძლია კიდეც. ეს დაამტკიცა ჩვენმა პირველმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა, როდესაც სწორედ მისი ინიციატივით შეიზღუდა პრემიერ-მინისტრის კომპეტენციები 2013 წელს.

ჩვენ კიდევ ერთხელ დავადასტურეთ, რომ მხოლოდ და მხოლოდ კონსტიტუციის დახვეწა არის ჩვენი ამოცანა და ქვეყნის დემოკრატიული განვითარების შეუქცევადი პროცესის უზრუნველყოფა", — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

◎ აუდიტის სამსახურის დასკვნა

ვინ გადაიხდის ამდენ ვალს?

სახელმწიფო ვალის საპროგნოზო მოცულობა ისტორიულ მაქსიმუმს წარმოადგენს — ამის შესახებ ნათქვამია აუდიტის სამსახურის მიერ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნაში, რომელიც „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს" ეხება. უწყების მონაცემებით, სახელმწიფო ბიუჯეტის 2017 წლის პროექტის მიხედვით, სახელმწიფო ვალის მოცულობა 15,403.1 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა, რაც 2016 წლის დაგეგმილ მაჩვენებელს 827.6 მლნ ლარით (6.0%) 2016 წლის დაგეგმილ მაჩვენებელს 827.6 მლნ ლარით (6.0%) აღემატება.

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის 2017 წლის კანონის პროექტის მიხედვით, სახელმწიფო ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა განისაზღვრა 15,403.1 მლნ ლარის ოდენობით, რაც 2016 წლის დაგეგმილ მაჩვენებელს 827.6 მლნ ლარით (6.0%) აღემატება. სახელმწიფო ვალის მოცემული საპროგნოზო მოცულობა ისტორიულ მაქსიმუმს წარმოადგენს. 2016 წლის ბიუჯეტის კანონში წარმოდგენილი მონაცემებით, წლის ბოლოს სახელმწიფო ვალი მშპ-ს 42.6%-ს გაუტოლდება, ხოლო 2017 წლის ბიუჯეტის კანონის პროექტის მიხედვით, ანალოგიური მაჩვენებელი 42.1%-ს შეადგენს. შედეგად, 2017 წლის ბოლოსათვის მოსალოდნელია ვალის ტვირთის ინდიკატორის (ვალი/მშპ) 0.5 პროცენტტული პუნქტით შემცირება, თუმცა საყურადღებოა, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის კანონის პროექტის მიხედვით, სახელმწიფო ვალის მოცულობა მშპ-თან მიმართებაში კვლავ გადააჭარბებს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020"-ით დადგენილ 40%-იან ნიშნულს", — ნათქვამია აუდიტის სამსახურის დასკვნაში.

ახლა ავშენდებით, თუ ავშენდებით,
ანუ გამარჯვებული პარტიების სოციალურ-ეკონომიკური დაპირებები

პარლამენტში შემსვლელ პარტიათა ვინაობა საბოლოოდ გაირკვა. ცხადია, „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს" შესვლა პარლამენტში დიდი (მოსალოდნელია, კონსტიტუციური) უმრავლესობით, ყველაზე მეტ შესაძლებლობას აძლევს და მთავარ პასუხისმგებლობასაც სწორედ ამ პარტიას აკისრებს მისი წინასაარჩევნო დაპირებების რეალიზებაზე, თუმცა ისიც საინტერესოა, რას გააკეთებენ სხვა საპარლამენტო პარტიები საკუთარი დაპირებების კანონად გადასაქცევად, მოამზადებენ თუ არა შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებს და დაიცავენ თუ არა საკუთარ პოზიციებს საპარლამენტო ცხოვრებაში.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი" წინასაარჩევნოდ პარტიების პროგრამებისა და დაპირებების ანალიზს, არჩევნების შემდეგ კი მათი შესრულების მონიტორინგს ახორციელებს. მოკლედ გავიხსენოთ, რას გვპირდებოდნენ დღეს უკვე პარლამენტში მყოფი პარტიები.

„ძართული ოცნების" პროგრამის ეკონომიკური ნაწილიდან აღსანიშნავია: თავისუფალი ბიზნესგარემო; 200 000 ახალი სამუშაო ადგილის შექმნა; გადასახადების შემცირება. მაკროეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებით „ქართული ოცნება" ფისკალური დისციპლინის, უმუშევრობის შემცირების, საგარეო ვალის გონივრული მართვის, ფასების სტაბილურობისა და ეროვნული ბანკის დამოუკიდებელი ფულადი პოლიტიკის პრინციპების ერთგულია.

სოციალური პოლიტიკის ფარგლებში შემოთავაზებული ღონისძიებები კონცენტრირებულია სოციალური დაცვის სისტემის დახვეწაზე, დაგროვებითი საპენსიო სისტემის ახალი მოდელის დანერგვაზე, დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების ამაღლებაზე, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, ნარკომანიისა და სხვა სოციალურად მავნე ჩვევებთან ბრძოლის გეგმებზე.

ამ ვალდებულებების შესრულებას და დაპირებებში თანმიმდევრულობას კარგად დაგვანახვებს პირველივე სოციალურ-ეკონომიკური ნაბიჯები, რომელთაც „ქართული ოცნება" გადადგამს.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წინასაარჩევნო პროგრამაში უდიდესი ნაწილი დასაქმებისა და მაკროეკონომიკის საკითხებს ეთმობა. წარმოდგენილია საშემოსავლო გადასახადის დღეს არსებული 20 %-დან 4 საანგარიშო წელიწადში 10 %-მდე შემცირების ინიციატივა, ასევე გაუნაწილებელი მოგების 15 %-დან 10 %-მდე შემცირების წინადადება 2019 წლამდე, აქციზის გადასახადების შემცირების, მიკრო-ბიზნესისა და ქონების გადასახადების შეღავათების გაფართოების, ასევე საფოსტო გზავნილებით შემოსული საქონლის დღგ-ით დასაბეგრი ღირებულების 300 ლარიდან 1 500 ლარამდე აწევა და სხვა.

„ნაციონალური მოძრაობა" ახალი 45 000 და შემდგომში წლიურად დამატებითი 30 000 სამუშაო ადგილის შექმნას პირდაპირ უკავშირებს ყველა შემოთავაზებულ საგადასახადო ცვლილებას. სოციალური დაპირებების ნუსხა კი ასე გამოიყურება: პენსიის 50 ლარით გაზრდა; საარსებო შემწეობის აღდგენა სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის; სოციალური სამართლიანობის დანერგვა; ყველა მოქალაქის დაზღვევა მისთვის ფინანსურად დაუძლეველი ხარჯებისგან; შ.შ.მ პირების დასაქმება.

„პატრიოტთა ალიანსი" მესამე პარტიაა, რომელიც პარლამენტში შედის და ეს საპარლამენტო აქტივობის მათი პირველი გამოცდილება იქნება. დაპირებებს შორის კი პარტიას ჰქონდა წვრილი და საშუალო მეწარმისთვის ფიქსირებული გადასახადის გადახდა; სახელმწიფო უნდა დაეხმაროს მეანაბრეებს და ზარალი აუნაზღაუროს იპოთეკარებს; ბიუჯეტიდან 4 %—ის გამოყოფით უნდა შეიქმნას ფონდი, რომელიც 8000—მდე ოჯახს დაეხმარება ბიზნესიდეის რეალიზებაში; სახელმწიფომ უნდა გასცეს 8-წლიანი უპროცენტო სესხი; ხალხმა უნდა გააკონტროლოს სახელმწიფო ბიუჯეტი; პენსია 240 ლარზე ნაკლები არ უნდა იყოს; ბიუჯეტიდან 2 % გამოიყოს 4 000 სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები ოჯახების დასახმარებლად; მამაკაცების საპენსიო ასაკი 60, ქალების — 55 უნდა იყოს, სურვილის შემთხვევაში. ხელმოკლე ოჯახები უნდა უზრუნველყონ სამოსით და საკვებით.

როგორც უკვე ვთქვით, „ნაციონალური მოძრაობა" საკმაოდ მცირე წარმომადგენლობით შედის პარლამენტში, „პატრიოტთა ალიანსი" კი - კიდევ უფრო მცირე გუნდით, რაც მათ დაპირებებზე სრულ პასუხისმგებლობას აცილებს, თუმცა მათ მიერ მომზადებული და პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტები ნაწილობრივ მაინც პასუხს გასცემს კითხვას, იყო თუ არა რეალური დაპირებები, რომელთაც პარტია ამომრჩევლებს უხვად ურიგებდა.

ირინა გურული

უნიჭო შარლატანების ბოლო გაფართხალება



ისინი მწიფე მსხალივით ხრავენ ფრაზას „პროდასავლური ორიენტაციის პარტიები“, მაგრამ ამით არა მხოლოდ ქართველი ხალხის დაცინვას და ზიზღს ღებულობენ, იმ ე.წ. ლობისტებსაც ვეღარ უქონავენ თავებს, რომელთა ხელდასხმითაც ნაცები ამდენი წელი ბოგინობდნენ საქართველოში.

ძალიან უცნაური ხალხი ვართ ქართველები. **ჩვენთან თავისუფლად შეიძლება ნებისმიერმა შარლატანმა დაირქვას ვთქვათ მწერლის, მომღერლის, ექსპერტის, პოლიტიკოსის და თქვენ წარმოიდგინეთ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლის სახელი და მისი ნებისმიერი ანტიმოქალაქეობრივი, ანტისახელმწიფოებრივი და ხშირ შემთხვევაში სულელური ფრაზა, სხვადასხვა მედიასაშუალებების „წყალობით“ მაშინვე აქტუალური ხდება.**

შეიძლება ვინმემ თქვას, რომ იგნორი კარგი გამოსავალიაო, მაგრამ ვერ დავეთანხმები. ვერ დავეთანხმები, რადგანაც საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ისმენს მათს სიცრუეს, ისმენს საკუთარი პოპულარობის გაზრდისთვის წამოსროლილ ეპატაჟურ გამონათქვამებს და იმის გამო, რომ განსხვავებულ მოსაზრებებზე წვდომა არ გააჩნიათ, გარკვეულწილად იჯერებენ. უჩნდებათ ეჭვის ის პატარა ჭია, რომელიც დროთა განმავლობაში იზრდება და არაადეკვატური შეფასების გაკეთების საფუძველი ხდება.

ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ მსგავსი ტიპების წარმოჩენაში აქტიურად არიან ჩართულნი გავლენიანი პოლიტიკური ძალები.

ცხადია, რომ პოლიტიკას სჭირდება ინტელიგენციის გარკვეული მხარდაჭერა, მაგრამ ნამდვილი ინტელიგენტი, ნამდვილი ხელოვანი, ნამდვილი ჟურნალისტი არასდროს ხდება რომელიმე პოლიტიკური ძალის მონა. ისინი აუცილებლად დაუჭერენ მხარს ქვეყნისთვის აუცილებელ და სასიცოცხლო რეფორმებს და თუნდაც იმ არაპოპულარულ ნაბიჯებს, რომლებიც ხალხისთვის აუცილებელია, მაგრამ ასევე აქტიურად შეეწინააღმდეგებიან ნებსით, თუ უნებლიედ ჩადენილ ნებისმიერ გადაცდომას.

სწორედ ამიტომაც ყველა ძლიერი პოლიტიკური ძალა ცდილობს, თავად შექმნას მსგავს მხარდამჭერთა ინსტიტუტი. ასე იყო ყოველთვის და ასე იქნება მომავალშიც, მაგრამ თუ კომუნისტების დროს ხელისუფლებისგან ხელდასხმულ ინტელიგენტთა დიდი ნაწილი ძალიან ნიჭიერი და ხალხისთვის მართლაც საყვარელი ადამიანები იყვნენ, სააკაშვილმა პირადი და თავისი გუნდის წარმომადგენელთა შინაგანი კომპლექსების გამო შექმნა ე.წ. ყოვლად უნიჭო „ცნობადი სახეების“ ინსტიტუტი, რომლებიც თავიანთი შესაძლებლობით ზუსტად შეესაბამებოდნენ ყოფილი ხელისუფლების ინტელექტუალურ მონაცემებს.

სამწუხაროდ ახალი ხელისუფლება იოლ გზას ადგას. იმის ნაცვლად რომ თავისზე დაქვემდებარებული მედიასაშუალებებით გზა გაუხსნას სწორად მოაზროვნე ადამიანებს, მისცეს მათ საშუალება წარმოაჩინონ თავიანთი შესაძლებლობები და ღირსეული პასუხი გასცენ უნიჭო წარმონაქმნთა შარლატანობას, შიშით და რიდით შესცქერის ლატენტურ ნაცებს, იმ ხალხს, რომლებიც სხვადასხვა მატერიალური მიზეზების გამო ვერ ჩაეწერნენ ყოფილი ხელისუფლების რჩეულთა სიაში და მათს მხარდაჭერაზე აკეთებს „სტავკას“. არადა ბევრი მათგანი თავიანთი ნიჭითა და შესაძლებლობებით ბევრად ჩამოუვარდებიან ნაცების გუნდის წევრებს.

სამწუხაროდ, დარწმუნებული ვარ, რომ ახლად არჩეული ხელისუფლება კვლავ გაგრძელებს გასული ოთხი წლის განმავლობაში აპრობირებულ გზას და ისევ აღმოჩნდება მუდმივი თავის მართლების პოზიციაში.

ხოლო იმ მედიასაშუალებებზე, რომელთა მეშვეობითაც საკმაოდ აფიშირდება ყოველგვარი მარაზმი, ვიტყვი რომ ისინი გარკვეულწილად მართლები არიან. მართლები არიან, რადგანაც მათი პოლიტიკა არა რეიტინგი, არამედ ნახვადობაა. ნახვადობისთვის კი აუცილებელია სულელური და ხშირად დადგმული სკანდალი. სამწუხაროდ, არ არსებობს საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელიც თავისი არსით საზოგადოებისთვის საღი აზრის მიწოდების საიმედო საშუალება უნდა იყოს.

სწორედ ეს უალტერნატივობა, პლურალიზმის სრული უქონლობა და ერთი პარტიის მიერ მონოპოლიზებული მედიასივრცე არის საზოგადოებრივი აზრის არაადეკვატური მიმართულებით წარმართვის პირველი მიზეზი.

შარლატანებმა არ იკმარეს „მწერლის“, „ჟურნალისტის“, მედია, თუ სხვა სახის „ექსპერტის“ წოდებები და ამ ორიოდე დღის წინ „სამოქალაქო საზოგადოების“ ტიტულით წარსდგნენ ჩვენს წინაშე.

წარსდგნენ და „მოსალოდნელი საფრთხის“ შესახებ მიმართვაც გაავრცელეს.

„ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ უაღრესად მნიშვნელოვანია, არსებულ სიტუაციაში საზოგადოებამ არჩევნების მეორე ტურში პოლიტიკურ ძალთა ბალანსის პრინციპით იხელმძღვანელოს. მოგმართავთ თქვენ, როგორც ქართულ პოლიტიკაში წარმოდგენილ პროდასავლურ პარტიებს, რომელთათვისაც, გვჯერა, ღირებულია ქვეყნის განვითარების ევრო-ატლანტიკური ვექტორი და ლიბერალური დემოკრატიის ღირებულებები, გამოიჩინოთ პოლიტიკური კეთილგონიერება, აარიდოთ ქვეყანას დაუბალანსებელი, ერთპარტიული მმართველობის საშიშროება და მოუწოდოთ თქვენს მხარდამჭერებს მმართველი პარტიის საკონსტიტუციო უმრავლესობის თავიდან ასაცილებლად, არჩევნების მეორე ტურში, არჩევანი ოპოზიციის კანდიდატების სასარგებლოდ გააკეთონ. გვჯერა, რომ ქვეყნის განვითარების ამ მნიშვნელოვან ეტაპზე ქართველი პოლიტიკოსები იხელმძღვანელებთ რაციონალიზმის და არა პარტიული დაპირისპირების პრინციპით,“ — აღნიშნულია მიმართვაში.

ამ მიმართვის ყველა ხელმომწერს ნამდვილად არ ჩამოვთვლი, მაგრამ საკმარისია რამდენიმე მათგანი დავასახელო, რომ ნამდვილი საზოგადოება და მოსახლეობა ადვილად მიხვდება მიმართვის ავტორთა ნამდვილ მიზანს.

ვერავინ დამარწმუნებს იმაში, რომ ლაშა ბუღაძეს, ნინია კაკაბაძეს, ნატა ფერაძეს, ბაია პატარაიას, ბექა მინდიაშვილს ან ანა კორძაია-სამადაშვილს ქართველი ხალხის მომავალზე ზრუნვითა და ფიქრით ღამეები არ სძინავთ. ვერ დამარწმუნებს ვერავინ, რადგანაც კარგად ვიცი, თუ რა უტრიალებს თავში ნატა ფერაძეს, ვისზე დარდში იფერფლება ბაია პატარაია და რა ესიზმრება ლაშა ბუღაძეს.

მათ რეალურად დაინახეს, რომ საზოგადოება გამოფხიზლდა, დაინახეს რომ ის ძუძუ, საიდანაც იკვებებოდნენ, ნელ-ნელა შრება და ანა კორძაია-სამადაშვილის დაფინანსება კი არა, საკუთარ აქტივისტებს და კოორდინატორებს ვეღარ უხდიან კუთვნილ ხელფასებს.

საინტერესო იყო იმ პარტიების ჩამონათვალიც, რომელთაც ამ შარლატანებმა თავიანთი მეორე, უფრო ვრცელი და პოლიტიკური სიტყვებით გაძეძგილი მიმართვა გაუგზავნეს:

რესპუბლიკელები, თავისუფალი დემოკრატები, „გირჩები“, ბურჭულაძეები, ახალი მემარჯვენეები, პოლიტიკური პლატფორმა — ახალი საქართველო, ლეიბორისტები და ცხადია ნაცები.

ისინი მწიფე მსხალივით ხრავენ ფრაზას „პროდასავლური ორიენტაციის პარტიები“, მაგრამ ამით არა მხოლოდ ქართველი ხალხის დაცინვას და ზიზღს ღებულობენ, იმ ე.წ. ლობისტებსაც ვეღარ უქონავენ თავებს, რომელთა ხელდასხმითაც ნაცები ამდენი წელი ბოგინობდნენ საქართველოში.

ამ მიმართვით ალბათ უნებურად „ჩაუშვეს“ ყველა, ვინც კოჰაბიტაციის შემოქმედი იყო, ვინც ფარულად ემონებოდა მოძალადეების იდეოლოგიას და ვინც ყოველ წუთს მზად არის, ზურგში მახვილი ჩასცეს ჩვენს ქვეყანას.

ამიტომაც, მეც მინდა მცირე მიმართვა გავავრცელო, რომლის ტექსტსაც აქვე გთავაზობთ:

მათზე, ვინც ნაცებს აძლევს ხმას იმ „მიზეზით“, რომ ვითომდა საკონსტიტუციო უმრავლესობა არ ჩავუგდოთ ხელში ოცნებასო და ამ გზით სურთ კვლავ იტივტივონ პოლიტიკურ ველზე, ვიტყვი, რომ:

1. ნაცებთან კეკლუცი არ გამოვა, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ იმათ თავიანთი გაჭირვება ჰყოფნით და ზედმეტი ბარგის აკიდება არაფერში სჭირდებათ. მითუმეტეს ოცნების გამონაცვალი...

2. ყველას აჩვენეს, რომ მათი პოლიტიკური თვალსაწიერი ძალიან მწირია და მატერიალურ ფასეულობებს ვერ სცილდება.

3. საკუთარი თავის სრული ლუსტრაციით ხარაკირი გაიკეთეს და არა მარტო მომავალი არჩევნებისთვის, არამედ პოლიტიკური ცხოვრებისთვისაც საბოლოოდ ჩაიკეტეს კარი.

არ ვიცი, მე უფრო დამიჯერებენ, თუ შარლატანებს და მართალი გითხრათ, არც მაინტერესებს. არ მაინტერესებს, რადგანაც მათ თავიანთი არჩევანი უკვე კარგა ხანია, გააკეთეს.

დღეისთვის უფრო მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ ქვეყნისთვის ამ მეტად საჭირბოროტო და მომავალი განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს ეტაპზე, სასიცოცხლოდ აუცილებელია, რომ ქართული საზოგადოება გათავისუფლდეს შარლატანების ზეობისგან. აუცილებელია, რომ წერტილი დაესვას ყველა „ი“-ს და, ბოლოს, და ბოლოს ქვეყანაში გაჩნდეს ნორმალური საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის აუცილებელი პლურალიზმი.



გია გაბრიჭიძე

რა უნდა, რა სურს ამ ბოღმით გატენილ გულნამცეცა ხალხს?..

ამ დილით თვალი გადავავლე პრესას. რა შთაბეჭდილება დამრჩა?

დღეს რომ ერთი ჯადოსნური კვერთხის აქნევით, ქართული სახელმწიფო პოლიტიკური და ეკონომიკური დიდება უმაღლეს რანგში ავიდეს, მის მაგინებელთა რიცხვი ერთითაც არ შემცირდება.

რა უნდა, რა სურს ამ ბოღმით გატენილ, გულნამცეცა ხალხს, ამათ როგორ გინდა თავი მოაწონო, სადაც თვითონ არ არიან, იქ ყველაფერი დაღუპულია და განწირული. ესაა და ეს უმთავრესი მიზეზი ამათი ნერვიული აშლილობისა.

ერთპარტიულობა და პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობის პრობლემა ადგას ყველას პირზე, თითქოს ეს შემთხვევა საქართველოში მოხდა პირველად.

საქართველოს ამომრჩეველმა თავისი ნება ასე გამოხატა, ეს გადაწყვეტილება არ მოგწონთ? მაშინ გააუქმეთ თქვენ, ყოვლისმცოდნე გვამებმა, ეს არჩევანი და ხალხზე მიფურთხებით ახალი პარლამენტი აირჩიეთ.

დასხედით ერთად და მოიწვიეთ თქვენს პარლამენტში ბერძენიშვილი ლევონი, ჩერგოლეიშვილი, გიგაურ-ლომჯარიას წყვილი, უჩა ნანუაშვილი, თამარ კორძაია, ცისფერი ვაჭარაძე, გოგი გვახარია, ლაშა ბუღაძისა და ლაშა ბაქრაძის ტანდემი, დავით ზურაბიშვილი, გია ნოდია, თევზაძე არ ჩანს და იქნებ მონახოთ და ჩაიზიაროთ, ამ გუნდს ზაზა ბურჭულაძე და ერეკლე დეისაძეც დაამშვენებენ, ზაზა შათირიშვილი და კიდევ ბევრი ასეთი ინტელექტუალი, ისე, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა მიიღოთ, ჩაუყენეთ ამათ სათავეში ახალი ჩერჩილი - ზაზა ფირალიშვილი, მოადგილედ დაუნიშნეთ სარჯველაძე და ისეთ პარლამენტს მიიღებთ, მსოფლიო რომ არ მოსწრებია. გაბრწყინდება საქართველოს პოლიტიკური კულტურა, მისი ეროვნული ღირსება და ტრადიციები. ეჭვი არ მეპარება: ასეთი შემადგენლობით მსოფლიო პარლამენტარიზმი ახლიდან დაიწყებს თავისი ისტორიის ათვლას. მსოფლიოს კლასიკური დემოკრატიული სახელმწიფოების საბერძნეთისა და რომის ისტორია გვასწავლის, რომ როცა სახელმწიფოს უჭირს, სწორედაც რომ ერთმა გამორჩეულმა, ხალხისაგან არჩეულმა ძალამ უნდა აიღოს ხელში ძალაუფლება, მან უნდა იკისროს ყველანაირი პასუხისმგებლობა იმ ხალხის წინაშე, ვინაც ისინი აირჩია. ამის შეცვლა შეუძლებელია, ამის გაუქმებას ვერავინ შეძლებთ და თქვენ რატომ ჰკივიხართ ყოვლად უნიადაგოდ, თანაც გაბოროტებით?

მსოფლის სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტთა უდიდეს უმრავლესობაში არის ერთი გამორჩეული პარტია საკონსტიტუციო უმრავლესობით და ფაქტობრივათ ის იღებს გადაწყვეტილებასა და პასუხისმგებლობასაც ქვეყნის მართვის შედეგებზე, რატომაა ეს მიუღებელი და საზიანო ჩვენთვის? გაუგებარია...

გონივრული და მართალი პასუხი არც ერთი მათგანის ოპონირებაში არ ჩანს. ცხადზე უცხადესია, რომ ამ გაბოროტებული ოპონენტების რეაქცია ნასაზრდოებია არა თანალმობითა და ქვეყნის უკეთეს მომავალზე ფიქრით, არამედ პირად ინტერესებზე დამყარებული ბოღმით.

მათდა სამწუხაროდ და პირში ბურთის ჩასაჩრელად „წილი ნაყარია“ და კარგად უთქვამს იმას, ვინაც თქვა: „ხმა ღვთისა და ხმა ერისაო“.

ელდარ ნადირაძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი
reportiori.ge

ქართულმა ოცნებამ „პიროსის გამარჯვება“ მოიპოვა?!

ვიდრე იმაზე ვიტყოდე რამეს, სააკაშვილის დანატოვარი კრიმინალები, საპარლამენტო არჩევნების შედეგების გამოცხადებისთანავე, ერთბაშად, ევროატლანტიკელ დემოკრატებად როგორ მოგველანდნენ, ალბათ, უპრიანი იქნება, გავიხსენოთ თვით არჩევნების შედეგები, რომელმაც ქაფქაფა, მდუღარე წყალი გადაასხა ავყია ნაცების იმ ნაბოდვარს, რომ „ოცნების“ ნამოღვაწარით დაქცეულ, მიწასთან გასწორებული საქართველოს ფეხზე წამოსაყენებლად და სულის მოსათქმელად, ოთხწლიანი შესვენების შემდეგ, ხელისუფლების სათავეში კვლავ მატყუარა მინისტები მობრუნდებოდნენ.

ამბავი კრიმინალი ნაცების დემოკრატებად მოლანდებისა...

ქვეყნის ამომგდები ნაცები, როცა დარწმუნდნენ, რომ არჩევნები არა უბრალოდ წააგეს, არამედ „ქართულ ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების რეალური შანსიც აქვს, რეალობის გრძნობა მთლიანად დაკარგეს და იმის მაგივრად, რომ კონკურენტი პარტიისთვის გამარჯვება მიელოცათ, პირიქით, შარი მოსდეს და ბრალიც წაუყენეს: თქვენ თუ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობით მოხვალთ, ეს წარმატების კი არა, ქვეყნისთვის „პიროსის გამარჯვების“ ტოლფასი იქნება, მილიარდერი ივანიშვილი, რომელსაც ქვეყანა ისედაც დამონებული ჰყავს, მერე მთლად გათავხედდება და პარლამენტს, პრეზიდენტსა და პრემიერს, ყველას ერთად ჩაისვამს ჯიბეში. აი, ნახავთ, „ოცნება“ მალე საკუთარი ძალაუფლების მსხვერპლი გახდებაო...

არ ეღირსათ! ისევე, როგორც ყველა ადრინდელი ნაცფანტაზია, სააკოვის ბოლო ნაცოდვილარიც, რომ საქართველოში „მაიდნის“ აგორებითა და „რევოლუციური გადატრიალებით“ შეძლებდა ხელისუფლების უზურპაციას, საბოლოოდ დასამარდა. როგორც ადგილობრივმა, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების დამკვირვებლებმა ერთხმად აღიარეს, რომ საქართველოში გამჭვირვალე, თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნები გაიმართა.

8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, ოფიციალური განცხადება გააკეთა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა, რომელმაც ქართველ ხალხს მიულოცა კონკურენტუნარიანი, კარგად ორგანიზებული არჩევნების ჩატარება. განცხადებაში ნათქვამია, რომ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისის შეფასებით, საპარლამენტო არჩევნებმა ძირითადი ფუნდამენტური დემოკრატიული უფლების დაცვის პატივისცემით ჩაიარა და მან კიდევ ერთხელ წარმოაჩინა საქართველო, როგორც დემოკრატიული რეფორმების ლიდერი ქვეყანა.

ამ შეფასების შემდეგ, არც თუ შემთხვევით, გამახსენდა ამჟამად ნაცების მიერ მონარქად და ტირანად მონათლული ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლისდროინდელი დანაქადნი – ჩვენ საქართველოში ისეთი დემოკრატია გვექნება, თვით ევროპელებიც კი განცვიფრდებიანო. ევროპელები კი განაცვიფრა, მაგრამ ამ დიდყურა და წვრილშუბლა ნაცებს რომ ვერაფერი შეასმინა? ჩვენ კი ვნახეთ საკუთარი თვალით, „ოცნებამ“ წურბელა ნაცები კისრულით როგორ დაანარცხა, მაგრამ ოდესაში გაგუბერნატორებული ჩვენი პრეზიდენტყოფილი რომ ისევ აღრენილ-გაცოფებული დარჩა? თურმე ნუ იტყვით, მის პარტიას „ქართული ოცნება“ დაუმარცხებია და არჩევნები გაუყალბეს. ჰოდა, თავად გაყალბების დიდოსტატი სააკაშვილი იძულებული გახდა, მოეთხოვა: გამარჯვებული ნაცმოძრაობა პარლამენტში არ შესულიყო, ხოლო მაჟორიტარობის კანდიდატებს მეორე ტურში მონაწილეობაზე უარი ეთქვათ.

პარლამენტის ერთპარტიულობა, რა თქმა უნდა, ხელისუფლების ინტერესებში არ შედის. ამიტომ გავრცელდა ინფორმაცია, რომ **გიორგი კვირიკაშვილმა დაურეკა მარგველაშვილს და სთხოვა, ნაცები პარლამენტში შესვლაზე როგორმე დაეყოლიებინა. პრეზიდენტი, მოგეხსენებათ, გიგა ბოკერიას ძირძველი მეგობარია. ამ დღეებში მარგველაშვილი თურმე რამდენჯერმე შეხვდა ბოკერიას და სააკაშვილის ხუშტურზე თამაში გადააფიქრებინა** (კიდევ კარგი, თორემ, დავიღუპებოდით!) ამ ამბავმა ბევრს გაახსენა 2008 წელი, როცა მაშინდელი ოპოზიცია პარლამენტში შესვლაზე უარს ამბობდა. სააკაშვილის გოშიებმა მათთან კარგახანს აწარმოეს მოლაპარაკება და ოპოზიციის ერთი ნაწილი დაიყოლიეს. ახლაც იგივე ხდება(?).

კვირიკაშვილთან დაკავშირებით, არ შემიძლია არ გავიხსენო პრემიერყოფილი ღარიბაშვილის პოზიტიური ნაბიჯები, რომელიც იმ პერიოდში გაუხედნავი ულაყივით შემოვარდა პოლიტიკურ ველზე, იომა, იჭიხვინა, არაერთი წიხლი უთავაზა ღრანჭებში ნაცბანდელებს, მათ პირდორბლიან ბელადს და ასპარეზიდან ნაადრევად „აითესა“. ნაცების მოძულე ივანიშვილმა მომდევნო ეტაპზე, არც თუ შემთხვევით, ღარიბაშვილი ჩაანაცვლა მეტ-ნაკლებად დაბალანსებული კვირიკაშვილით, რომელიც თავისი პოლიტიკით რბილად, მაგრამ, საკმაოდ მტკივნეულად ესობა ყიამყრალ ნაცებს მათივე უტიფრობითა და თავხედობით ნაღრძობ ადგილებში.

მაგრამ ვერანაირი პოლიტიკა, გინდ რბილ-ტკბილი და გინდ მსუსხავ-მწარე, ნაცების ვერაგობა-ქამელეონობას ოდნავადაც ვერ ანეიტრალებს. მათ ამჯერადაც კი, როცა საპარლამენტო არჩევნებში გამანადგურებელი მარცხი იწვნიეს, ჰყოფნით კადნიერება ამტკიცონ, რომ არჩევნები კი არ წააგეს, არამედ გაუყალბეს (ეტყობა, ნაკლებ შედეგს ელოდნენ და გაყალბებულად იმიტომ აღიქვამენ!). ეს კიდევ არაფერი, **იფიქრეს, საზოგადოების თვალში უნამუსობის იარლიყს მაინც ვერ ვიშორებთო და ამჯერად თავი უცოდველ დემოკრატებად შემოგვასაღეს. აი, თქვენ რომ გგონიათ, სააკაშვილის ყურმოჭრილი მონები ვართ, ამბობენ ისინი, ახლა ხომ დარწმუნდით, რომ ეს ყველაფერი სიცრუეა. სააკაშვილი კი მოგვიწოდებდა, პარლამენტში შესვლაზე და არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობაზე უარი გვეთქვა, მაგრამ ჩვენ მის კაპრიზებს, არ ავყევით, საკითხი პარტიულ კრებაზე განვიხილეთ და ისე მოვიქეცით, როგორც უმრავლესობამ გადაწყვიტა. აი, ეს არის ნაღდი ევროპული დემოკრატია და არა ის, არაფორმალი ივანიშვილი „შუშის კოშკიდან“ მთელ ქვეყანას ერთპიროვნულად რომ მართავს...**

რომელი ევროპულ-ამერიკული დემოკრატიის შერმადინები გველაპარაკებიან ასეთი კატეგორიული ტონით, არ იკითხავთ? ალბათ, არ გაგიკვირდებათ, თუ გავიხსენებთ მათ წარსულ საქმეებს (ვიცი, ძაღლის კბილივით ესობათ ძველი ცოდვების შეხსენება, მაგრამ სხვა გზა თუ არ დაგვიტოვეს?) და კიდევ ერთხელ გაგაცნობთ სვანეთში, სოფელ ეცერში ჩატარებული სპეცოპერაციის „გმირს“ – გიორგი ბარამიძეს, არჩევნების გაყალბების დიდოსტატებს – **ხათუნა გოგორიშვილს** და **ლევან თარხნიშვილს,** ტერმინ „დედალი და მამალი ძროხების“ ავტორს – **პეტრე ცისკარიშვილს,** ქართული კულტურის ძეგლების მაგინებელ-შეურაცხმყოფელს – **ზურაბ ჭიაბერაშვილს,** თანამდებობის გამო ეშმაკისთვის სულის მიმყიდველს – **კაკო ბობოხიძეს,** მართლმადიდებელი ეკლესიისა და ქართული ტრადიციების წინააღმდეგ დაუდგრომელ მებრძოლს – **გიგა ბოკერიასა** და მთელ მათ ამალას. აღარაფერს ვამბობ მათი ავსული ბელადის – **სააკაშვილის სისხლიან რეჟიმზე, რომელიც წინამძღოლობდა ახალგაზრდების ქუჩაში დახვრეტას, ბიზნესმენების გატყავება-დატერორებას, პატიმრების წამებასა და ცოცხებით გაუპატიურებას, ქართული კულტურისა და ტრადიციების განადგურებას, ტერიტორიების დაკარგვას და ერის გადაგვარება-გადაშენებას.**

ჰოდა, ახლა ეს ქვეყნის ამომგდები ნაცები, როცა დარწმუნდნენ, რომ არჩევნები არა უბრალოდ წააგეს, არამედ „ქართულ ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობის მანდატის მოპოვების რეალური შანსიც აქვს, რეალობის გრძნობა მთლიანად დაკარგეს და იმის მაგივრად, რომ კონკურენტი პარტიისთვის გამარჯვება მიელოცათ, პირიქით, შარი მოსდეს და ბრალიც წაუყენეს: **თქვენ თუ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობით მოხვალთ, ეს წარმატების კი არა, ქვეყნისთვის „პიროსის გამარჯვების“ ტოლფასი იქნება, მილიარდერი ივანიშვილი, რომელსაც ქვეყანა ისედაც დამონებული ჰყავს, მერე მთლად გათავხედდება და პარლამენტს, პრეზიდენტსა და პრემიერს, ყველას ერთად ჩაისვამს ჯიბეში. აი, ნახავთ, „ოცნება“ მალე საკუთარი ძალაუფლების მსხვერპლი გახდებაო.**

ყიამყრალი ნაცების ამ ავანტიურას ზოგმა სხვა ექსპერტმა თუ პოლიტოლოგმაც აუბა მხარი, რომელთა აზრით, გამომდინარე იქიდან, რომ აბსოლუტური ძალაუფლება აბსოლუტურად რყვნის ადამიანს, საქართველოში შეიძლება შეიქმნას დიქტატორული ძალმომრეობის საშიშროება. მავანს რატომღაც ავიწყდება, რომ რეალობა, რომელიც მივიღეთ, ხალხის არჩევანია და მას ყველამ, – გამარჯვებულმაც და წაგებულმაც – პატივი უნდა სცეს. **სააკაშვილი ტირანი იყო და ძალაუფლებას ქვეყნის დასანგრევად და ხალხის დასამონებლად იყენებდა. 8 ოქტომბრის არჩევნებით მოსული ხელისუფლება თუ საკონსტიტუციო უმრავლესობას ქვეყნის ასაშენებლად და ხალხის საკეთილდღეოდ გამოიყენებს, მიშნაცების გარდა, ამის საწინააღმდეგოვის რა უნდა ჰქონდეს?**

შუბლისძარღვგაწყვეტილი ნაცების საქციელს კი, მოგეხსენებათ, მანომეტრი არასდროს ჰყენებია და ის მას, ალბათ, არც არასდროს მოერგება. ისინი მართალია, გვარწმუნებენ, საარჩევნოდ ტყავი გამოვიცვალეთ და ამასთან ერთად ზნეობა და მორალიც გავისპეტაკეთო, მაგრამ მგლის კრავობას რომელი ჭკუათამყოფელი დაიჯერებს. ტყავს, როგორც ცნობილია, წელიწადში ერთხელ გველიც იცვლის, მაგრამ შხამს ყოველთვის თავისთან იტოვებს. დაიტოვებენ თუ არა შხამს სატანა მიშნაცები „ოცნების“ დასაგესლად, ამას ახლად არჩეული პარლამენტის სამომავლო საქმენი გვაუწყებენ.

ოთარ ხუციშვილი

სენატორი მარკ სენფორდი: დემოკრატიულმა პროცესმა საქართველოში მყარად გაიდგა ფესვი

ამერიკელი სენატორი მარკ სენფორდი (რესპუბლიკელი – სამხრეთ კაროლინა) **საქართველოში 8 ოქტომბერს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით განცხადებას აქვეყნებს და საქართველოს მთავრობას არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას ულოცავს.**

მარკ სენფორდის თქმით, საქართველო ამერიკის შეერთებული შტატების მტკიცე პარტნიორია და შთამბეჭდავია ის ფაქტი, რომ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები ქვეყანაში ბოლო ოთხი წლის მანძილზე უკვე მესამედ იმართება.

„დამოუკიდებლობის აღდგენიდან 25-წლიან ისტორიას თუ შევაფასებთ, აშკარაა, რომ დემოკრატიულმა პროცესმა საქართველოში მყარად გაიდგა ფესვი – და ეს მართლაც ქების ღირსია“, – ნათქვამია სენატორ მარკ სენფორდის განცხადებაში.

ოთო კახიძე იტყუება!

ადამიანის **უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებით, სტრასბურგის სასამართლოს ვანო მერაბიშვილის საქმეზე პოლიტიკურ დევნაზე არ უსაუბრია და ამაზე არც დიდი პალატა იმსჯელებს.** ეკა ბესელიას განცხადებით, მერაბიშვილის ადვოკატი ოთო კახიძე იტყუება, როდესაც ამბობს, რომ დიდმა პალატამ საჩივარი წარმოებაში მიიღო:

„იტყუება არა იუსტიციის მინისტრი, როგორც ოთარ კახიძემ განაცხადა, არამედ – თავად კახიძე, რადგან უკვე გამოტანილ გადაწყვეტილებაში სასამართლოს არავითარ პოლიტიკურ დევნაზე არ უსაუბრია და ამაზე არც დიდი პალატა იმსჯელებს. ასეთი ტერმინოლოგიით ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო არ მსჯელობს და გადაწყვეტილებას არ იღებს. ეს მანიპულაცია და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობაა. ბატონ კახიძეს და მის მეგობრებს მოუწევთ, დიდი პალატის გადაწყვეტილებას დაელოდონ. წინასწარი დაპირებებით და პოლიტიკური ლოზუნგებით ეს გადაწყვეტილება ვერც დაჩქარდება, ვერც შეიცვლება და ვერც მათთვის სასურველ სახეს მიიღებს“, – განაცხადა ეკა ბესელიამ.



ის, რამაც მართლაც შესაძლებელია უკრაინა-საქართველოს ურთიერთობები გააფუჭოს

სააკაშვილის აჩრდილი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში

საქართველოში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე უკრაინის მხარდამჭერი რეზოლუციის კენჭისყრის ირგვლივ სკანდალი აგორდა. დოკუმენტებში საპარლამენტო ასამბლეამ პირველად მოიხსენია უკრაინის აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტი „რუსულ აგრესიად“, მოსკოვს დონბასიდან ჯარის გაყვანისკენ მოუწოდა და ყირიმის ნახევარკუნძულის ტერიტორიაზე ჩატარებული რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები დაგმო. თუმცა ქართული დელეგაცია სხდომებს არ დასწრებია. მმართველი პარტიის პოლიტიკურმა ოპონენტებმა საქართველოს ხელისუფლება მოსკოვთან არშიყში დაადანაშაულეს.

მანანა კობახიძე, ეკა ბესელია, გუგული მაღრაძე და ზვიად კვაჭანტირაძე ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში ქართული დელეგაციის წევრები არიან. ყველა მათგანი მმართველ პარტიას წარმოადგენს და არც ერთი არ დასწრებია უკრაინის მხარდამჭერი რეზოლუციის კენჭისყრას, რომელსაც ბევრმა დამკვირვებელმა ისტორიული უწოდა.

რეაქცია მყისიერი იყო. უკრაინის გენერალური პროკურორის ყოფილმა მოადგილემ დავით საყვარელიძემ უკრაინელებს ბოდიში მოუხადა კენჭისყრაში თანამემამულეების არმონაწილეობის გამო და განაცხადა, რომ ქართული დელეგაციის მოქმედება მმართველი პარტია „ქართული ოცნების“ პოზიციას გამოხატავს.

ანალოგიური მოსაზრება აქვთ ოპოზიციურ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“, რომლის აღმასრულებელმა მდივანმა სერგო რატიანმა მომხდარს „ქვეყნის ინტერესების ღალატი“ უწოდა:

„ჩვენმა ხელისუფლებამ ძალზე ცუდად წარმოაჩინა თავი საერთაშორისო არენაზე, კიდევ უფრო გადაიხარა რა რუსეთისკენ. რაც ქართულმა დელეგაციამ გააკეთა, სირცხვილია. ეს სტრატეგიული პარტნიორის ღალატია, ქვეყნის სტრატეგიული ინტერესების ღალატი და ძალზე ცუდად აისახება საქართველოზე“.

თუმცა არც მმართველ პარტიაში, არც თავად დელეგატები არ თვლიან მომხდარს რაღაც განსაკუთრებულად. საქართველოს ერთ-ერთი წარმომადგენელი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში ეკა ბესელია დელეგაციის არდასწრებას არა პოლიტიკური, არამედ ტექნიკური მიზეზებით ხსნის:

„ადამიანის უფლებათა დაცვისა და იურიდიული კომიტეტების სხდომაზე ჩვენ მხარი დავუჭირეთ უკრაინელების მიერ წარდგენილ ყველა შესწორებას და რეზოლუციები სწორედ იმ სახით გავიდა, რომლითაც მხარი დავუჭირეთ საკომიტეტო მოსმენებზე. კენჭისყრის დროს ჩვენ შვეიცარიის დელეგაციასა და ეუთოს თავმჯდომარეს ვხვდებოდით საქართველოს საპარლამენტო არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით, ამდენად, დარბაზში არ ვიმყოფებოდით. შესაბამისად, ამაში გასაკვირი არაფერია“.

მისმა კოლეგამ ზვიად კვაჭანტირაძემ კი საერთოდაც, კრიტიკულ განცხადებებს უწოდა **„მცდელობა, თითიდან გამოწოვილი თემით გადაეფარათ უაღრესად პოზიტიური მესიჯები და მილოცვები, რომელიც სტრასბურგში წარმატებულად ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების გამო იქნა მიღებული“.** შესაბამისი მოსაზრებები მან Facebook-ში პირად გვერდზე გამოთქვა და უკრაინული დელეგაციის წევრ ნადია სავჩენკოსთან ერთად გადაღებული ფოტოც დაურთო.

„სავჩენკო დამეთანხმა იმაში, რომ უკრაინულ დელეგაციას მეტი ორგანიზებულობა და აქტიურობა ჰმართებდა კენჭისყრისას მხარდამჭერთა მობილიზებისთვის. დიახ, ეს აქ მიღებული პრაქტიკაა. ქვეყანა, რომელიც დაინტერესებულია თავისი რეზოლუციის გატანაში, აქტიურად მუშაობს ამაზე. ჩვენთვის უკრაინელებიდან არავის მოუმართავს, რომ გადატვირთული დღის წესრიგის გამო არ გაგვეცდინა კენჭისყრა. როგორც უკვე აღვნიშნე, არანაირი კონტაქტი არ ყოფილა, თუმცა ზემოაღნიშნულ კომიტეტში ჩვენ მაინც აქტიურად დავუჭირეთ მხარი უკრაინელებს ყოველგვარი თხოვნის გარეშე. დღეს კი ასეთივე დიდი სიამოვნებით გამოვეხმაურეთ ნადია სავჩენკოს თხოვნას და ჩვენი ხელმოწერებით შევუერთდით ხელმოწერილ რეზოლუციებს“, – წერს კვაჭანტირაძე.

ამასთან, საქართველოს პარლამენტის ოფიციალურ საიტზე ნათქვამია, რომ სტრასბურგში, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საშემოდგომო სესიას, მათ შორის, დავით ბაქრაძე, ლევან ბერძენიშვილი და ირაკლი ჩიქოვანიც უნდა დასწრებოდნენ – ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელი დეპუტატები, რომელთაც ქართული დელეგაციის ქმედება გაკრიტიკეს. რატომ არ იმყოფებოდნენ ისინი სტრასბურგში კენჭისყრის დროს, უცნობია . „ქართული ოცნების“ ზემოაღნიშნული დეპუტატები კი საიტზე საზაფხულო სესიის მონაწილეებად არიან დაფიქსირებული.

თუმცა ანალიტიკოს ვალერიან გორგილაძის აზრით, სესიაზე იგივე დავით ბაქრაძის არყოფნა შეიძლება, აიხსნას საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურის მოახლოებითა და მთელი „ნაციონალური მოძრაობის“ მობილიზების აუცილებლობით. რაც შეეხება თავად ქართული დელეგაციის არდასწრების ფაქტს, ეს ნოყიერი ნიადაგია პოლიტიკური სპეკულაციებისთვის, თუმცა არც ამგვარი ვერსიის სრულად გამორიცხვა შეიძლება.

„სრულიად ნათელია, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში, წინასაარჩევნო კამპანიის დროს ოდესის ოლქის გუბერნატორი, უკრაინის მოქალაქე უხეშად ერეოდა საქართველოს შიდა საქმეებში. და ერთადერთი მოტივაცია, ფარული, რომელიც ქართულ მხარეს შეიძლება, გააჩნდეს, ასეთია, არა დიპლომატიური (არხების) გზით, არამედ ამგვარი ფარული დემარშით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს კიევს, შეაფასოს, რატომ მოხდა ეს ყველაფერი“, – ამბობს გორგილაძე.

იმას, რომ ეს ფარული დემარში იყო, პოლიტოლოგი გია ხუხაშვილიც ეთანხმება. მისი თქმით, ამ გზით საქართველომ მიანიშნა უკრაინას, რომ მიხეილ სააკაშვილის ქმედებები და კიევის მხრიდან მათზე რეაგირების არარსებობა თბილისში შეუმჩნეველი არ დარჩენიათ:

„გასაგებია, რომ საქართველო და უკრაინა პარტნიორები არიან, პარტნიორები ჯერჯერობით გასაჭირში, სამწუხაროდ. და ამ კუთხით მიდგომები ერთმნიშვნელოვანია. თუმცა ყველაფერი ურთიერთპატივისცემაზე იგება. მე სიტუაცია ასე მესმის, რომ სააკაშვილი, როგორც ოდესის ოლქის გუბერნატორია, ასე იქცევა საქართველოს შიდა პოლიტიკის მიმართ, ქმნის რაღაც ხარვეზებს ამ ურთიერთობებში. და ეს რეაგირებას მოითხოვს. ამ შემთხვევაში საუბარი იმაზე, რომ ეს გააფუჭებს ურთიერთობებს და ა.შ.... ამაზე უნდა იფიქრონ უკრაინელებმა უპირველესად. სააკაშვილის ამ ქცევამ შესაძლოა, ურთიერთობები მართლაც გააფუჭოს“.

როგორც პოლიტოლოგი აღნიშნავს, ნაკლებ სავარაუდოა, კიევს მოსწონებოდა, უკრაინის შიდა საქმეებში მსგავსი ჩარევა რომ საქართველოდან წამოსულიყო, ასე რომ, საპარლამენტო ასამბლეაში მომხდარი ინციდენტი სხვა არაფერია, თუ არა მინიშნება უკრაინელი პარტნიორებისთვის, რომ თბილისს ანგარიში უნდა გაუწიონ.

ekhokavkaza

ამერიკა კვლავ მზად არის დასახმარებლად!

ნაციონალებმა აღიარეს, რომ ქართველი ხალხის უმრავლესობას რუსეთი უნდა და არა ნატო

ნაციონალებმა საბედისწერო შეცდომა მაშინ დაუშვეს, როცა გამოაცხადეს **„ქართული ოცნების“ და „პატრიოტთა ალიანსის“ სახით არჩევნებზე პრორუსულმა ძალებმა გაიმარჯვეს და ამიერიდან „ნაცმოძრაობა“ ერთადერთი პროდასავლური ძალაა საქართველოშიო.**

ამით მათ უნებლიეთ აღიარეს, რომ **ქართველი ხალხის უმრავლესობას რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა სურს და არა ნატოში გაწევრება**. ეს სურვილი აქვს, მინიმუმ, 944 630 საქართველოს სრულწლოვან მოქალაქეს: 856 529 „ქართული ოცნების“ +88 109 „პატრიოტთა ალიანსის“ ამომრჩეველს, ანუ არჩევნებზე მოსული ამომრჩევლის 53,68%, საიდანაც 48,67%-მა „ქართულ ოცნებას“ მისცა ხმა, 5,01%-მა კი – „პატრიოტთა ალიანსს“.

სამაგიეროდ, დღეს უკვე ყველამ, და არა მარტო ჯანდაცვის მინისტრმა სერგეენკომ, ზუსტად ვიცით, **რამდენი მძიმე ავადმყოფია საქართველოში, ვისაც საყოველთაო დაზღვევა და გადაუდებელი სამედიცინო დახმარება სჭირდება**. დღეს საქართველოში 477 143 ავადმყოფია, ანუ არჩევნებზე მისული ამომრჩევლის 27,11%, ვინც „ნაცმოძრაობას“, ანუ სააკაშვილს, მკვლელობებს, წამებებს, რეკეტს, გარყვნილებასა და ტერიტორიების დაკარგვას მისცა ხმა.

„ამიერიდან ახლად არჩეული პარლამენტის ტრიბუნიდან რუსული ნარატივი იზანზარებს!“ – აცხადებენ ეს „ფსიხბალნიცის“, ხშირად კი „რესბალნიცის“ პოტენციური პაციენტები. მათ მხარს უბამს პოლიტიკური მორგის ზომბების გუნდი – ლეიბორისტული პარტია და რესპუბლიკური პარტია, ბანს კი „მსოფლიო ბანის“ პარტია აძლევს, რომელმაც თავისი უკანასკნელი პარტია ოდესაში იმღერა.

ზომბების გუნდს ალასანიას პოლიტმდივანი მოჰყვა: **„საქართველო საბჭოთა კავშირში დაბრუნდაო!“** გამოაცხადა (ალასანიას პარტიის დაშლის შედეგად ის უმუშევარი არ დარჩენილა – უკვე დაპატიჟებულია მუსკომედიაში „ბაბაიაგას“ როლზე, თანაც - გრიმის გარეშე...).

და, რა თქმა უნდა, თავისი ხმა ავლაბრის სასახლის მობინადრეებმაც შეაშველეს: **„სატირალია და სამწუხარო, რომ ახალი პარლამენტი არ იქნება მრავალპარტიული, რადგანაც პროდასავლური პარტიები შესუსტდნენ და დაიშალნენ!“?** ოფიციალურად აცხადებს „კარალევა მარგო“ მისი ჩაფიქრ-ებული ფრეილინებით...

„კი, მაგრამ, რანაირად არის „ქართული ოცნება“ პრორუსული, თუ თითქმის ყველა პრორუსული პარტია არჩევნებამდე რეგისტრაციიდან მოიხსნა, დარჩენილებმა კი არჩევნებში სასტიკად წააგეს? მათ შორის, უბლოკო ბურჯანაძემაც, რომელმაც ივანიშვილი ფალსიფიკაციაში, უზურპაციასა და თურქმენიზაციაში დაადანაშაულა?! როგორ შეიძლება, ამერიკა, ევროკავშირი და ნატო სამართლიანად აღიარებდეს და იცავდეს არჩევნებს, რომელშიც, ვითომ, პრორუსულმა ძალებმა გაიმარჯვეს?!“ – სამართლიანად უკვირს ქართველ ხალხს და ამიტომ ამომრჩეველთა უმრავლესობა მეორე ტურზე წავა და ხმას ისევ „ქართულ ოცნებას“ მისცემს.

აი, მეგობრებო, კიდევ ერთი კლასიკური მაგალითი, როცა **უტვინო პოლიტტიკინების სიცრუეზე აგებული პიარი მათივე საწინააღმდეგო „შავ“ პიარად მობრუნდა!**

ამ ბალაგანის მაყურებელი აშშ-ის ელჩი საქართველოში არა მარტო ნიჭიერი დიპლომატი, არამედ კალმის ნამდვილი დიდოსტატი აღმოჩნდა. გასულ ოთხშაბათს აშშ-ის საელჩოს გვერდზე Twiterr-ში **იან კელიმ** მოკრძალებული მესიჯი გაავრცელა, რომლითაც ნაციონალებს პიარში ნამდვილი მასტერკლასი ჩაუტარა:

„მივესალმები წუხანდელ გადაწყვეტილებას არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობის მიღების შესახებ. ქვეყნებს სჭირდებათ პოლიტიკური და მედიაპლურალიზმი წარმატებისა და განვითარებისთვის. აშშ მზად არის დასახმარებლად“, – ნათქვამია აშშ-ის ელჩის ლაკონურ პოსტში.

ამ სამ წინადადებაში იან კელიმ წარმოადგინა არა მარტო აშშ-ის დამოკიდებულება შემდგარი საპარლამენტო არჩევნების მიმართ, არამედ **აშშ-ის ხედვა საქართველოსთან დამოკიდებულებაში.** აი, რას ნიშნავდა სინამდვილეში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ეს დირექტივა:

1. პარტია „ნაციონალური მოძრაობა“ აუცილებლად უნდა დარჩეს უახლოესი 4 წლის განმავლობაში ერთადერთ მთავარ ოპოზიციურ ძალად საქართველოს დე ფაქტო ორპარტიულ პარლამენტში და არ დაიშალოს, როგორც ალასანიას და ბურჭულაძის პარტიები. თუ „ნაციონალური მოძრაობა“ მეორე ტურში მონაწილეობას არ მიიღებს, პარლამენტში მხოლოდ „ქართული ოცნება“ შევა, რაც ქვეყანაში **„პოლიტიკური პლურალიზმის“** მაჩვენებელი არ იქნება, რომელიც **„ქვეყანას სჭირდება წარმატებისა და განვითარებისთვის“**.

2. ტელეკომპანია „რუსთავი-2“-მა დაუბრკოლებლად უნდა განაგრძოს თავისი საქმიანობა არჩევნების შემდგომაც, თანაც, ამჟამინდელი მენეჯმენტის და შეუცვლელი სარედაქციო პოლიტიკის პირობებში, ეს იქნება „მედიაპლურალიზმის“ მაჩვენებელი, რომელიც **„ქვეყანას სჭირდება წარმატებისა და განვითარებისთვის“**.

3. პარტია "ნაციონალური მოძრაობა" მთლიანად უნდა გათავისუფლდეს მისი ყოფილი ლიდერისა და დამფუძნებელის – შეშლილი სააკაშვილის კონტროლისგან, რომელსაც აშშ-მა დიდი ხანია, „ჯვარი დაუსვა“. და თუ ოდესის გუბერნატორი გაბრაზდება და ოდესიდან ფულის გამოგზავნას შეწყვეტს, **„აშშ მზად არის პარტიას დაეხმაროს“** ფინანსურად.

აი ასე – მოკლედ და კონკრეტულად.

არნო ხიდირბეგიშვილი,
„საქინფორმის“ მთავარი რედაქტორი

ოჰ, ეს პილატე სახარებანი

ბერნე და მისი ქართველი მეგზური

მიხაილ ბულგაკოვის რომანში „ოსტატი და მარგარიტა“ პერსონაჟს განზრახული აქვს ოთხთავს შესძინოს კიდევ ერთი სახარება – პილატეს სახელით, გულს აკლია, რომ კანონიკურ ტექსტში ეს ნაწილი არსადაა, და მაშ „ხარვეზი“ ხომ უნდა გამოსწორდეს?!.

ჯიბრან ხალილ ჯიბრანის რომანში „იესო, ძე კაცისა“ მთხრობელთა შორის გამოჩნდება პილატე პონტოელიც, აღმოსავლური ღვთისმსახურებისა და კულტების შესახებ საუბრის სამზერიდან რომ უნდა გაიხსენოს იმ უცნაურ კაცთან საბედისწერო შეხვედრის სცენა და... არა და აღარ მოეშვას ეს შეკითხვა, იმწუთს უპასუხოდ დარჩენილი, რაკიღა პასუხს აღარც დაელოდა: რა არის ჭეშმარიტება და რა არ არის ჭეშმარიტება?

და აი, უნდა დამდგარიყო დღე, როდესაც ერიკ-ემანუელ შმიტი კიდეც გაშლიდა თხრობას ამ სათაურით: „პილატეს სახარება“.

და კიდეც უნდა ამოდგომოდა ამ ნიმუშს გვერდით ან ბერნეს რომანიც „პილატე პონტოელის მემუარები“.

ეს ყოველივე ხელმისაწვდომია ჩვენი მკითხველისათვის, ზოგიერთი – სხვადასხვა ვერსიითაც, სულ ბოლოს კი ჩვენს თვალსაწიერში შემოვიდა ან ბერნეს ეს ისტორიული თხზულებაც, განათლებით ისტორიკოსისა და იურისტი მწერლის, გარდა რომანებისა, ნარკვევთა და ესეების სერიასაც რომ გამოაქვეყნებდა ლიტერატურის, კულტურისა და რელიგიის სფეროში და ქართულ ენობრივ-კულტურულ სივრცეში კი მანანა გიგინეიშვილი შემოუძღვებოდა, ჯიბრანისაც და სხვაც არაერთი დიდებული ქმნილების ამამეტყველებელი ჩვენს ენაზე, სასიკეთოდ რომ დააჩნდებოდა მისი გარჯა ჩვენი ლიტერატურის მდინარებას – მთარგმნელობითი ხელოვნების უკეთეს ნიმუშთა შორის რომ გვეგულება ეს მონაპოვარიც.

და ჩვენს თანამედროვე ფრანგ მწერალ ქალსაც ძალიან გაუმართლებდა ამ რანგის მთარგმნელის მეგზურობა, რათა ხელშესახებად განგვეცადა მის თვალთახედვაში გადატეხილი ჭიდილი: თუ როგორ უპირისპირდება რომის იმპერიულ ზრახვებს კაცობრიობის განვითარებაში მოვლენილი ახალი სულიერი ძალა – ქრისტიანული სიყვარული, პიროვნების სრულყოფისა და ამაღლების ახალი გზა.

ავტორის ფაქიზ ალღოსა და ღრმა განსწავლულობას რომ ახსენებს მთარგმნელი მოკლე და ტევად წინასიტყვაობაში, ეს შეფასება თვითონ მანანა გიგინეიშვილსაც ძალიან მოუხდება, ვისი მეოხებითაც ასე შთამბეჭდავად წარმოგვიდგება პილატე პონტოელის პიროვნული დრამა, როგორც ადამიანის განვითარების თანამდევი მარადიული დრამა, ეს ფორმულა კი მთარგმნელს ძალდაუტანებლად გაახსენებს ჯიბრანის პოეტურ ხილვებს: მას აქეთია პონტოელი დღესაც ხელს იბანს, და წმინდა ქალაქს, იერუსალიმს, უპყრია ვარცლი; და გულზვიად რომს კვლავ ხელთა აქვს თუნგი წყლით სავსე; ისევ და ისევ ათასები იბანენ ხელებს და კაცთა მოდგმა ასე ლამობს განსპეტაკებასო.

გადაიელვებდა პილატე ახალი აღთქმის ფურცლებზე, მაგრამ ეს გადაელვებაც სავსებით კმაროდა მრევლის ცნობისწადილის გასაღვივებლად, ღვთისმეტყველებისაც, მწერლებისაც, რათა რაც შეიძლება მეტი გვცოდნოდა ამ ისტორიული პირის შესახებ, მოკრებილიყო ყველაფერი, ტყუილ-მართალი მასზე და ამ ფონზე როგორმე გამოკვეთილიყო მისი სილუეტი, მარტოდენ მწირი ცნობები რომ აღარ გვეკმარა.

თავისი ფიქრი აწუხებდათ სასულიერო პირებს.

თავისი ფიქრი აწუხებდათ მწერლებს, რომელნიც ვერ შეეგუებოდნენ პილატეს სწორხაზობრივ წარმოსახვას მისი ბიოგრაფიის შეთხზვისას და შეეცდებოდნენ გაცილებით ღრმა, არაორდინარულ პიროვნებად გამოეხატათ, ვიდრე სახარების პასაჟები გვიქმნიდა წარმოდგენას მასზე, თორემ მარტივ და სწორხაზობრივ ადამიანზე ან სულაც მის მიერვე მოთხრობილი ამბავი რა უნდა ყოფილიყო?

მწერლები იუდასა და სალომეასაც კი უძებნიდნენ რაღაც გამართლებას, ლამობდნენ მათ რეაბილიტაციას და აღარ უნდა გაგვკვირვებოდა, თუ სალომეა, იოანე ნათლისმცემლის დამღუპველი – ლანგრით რომ მოითხოვდა მის მოკვეთილ თავს – პირველ და თავგანწირულ ქრისტიანთა წყებას შეუერთდებოდა... და მაშ პილატე პონტოელს მითუფრო ჩამოხსნიდნენ დანაშაულის ტვირთს.

ბოლოს და ბოლოს მასზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული და აზვირთებული ბრბოსათვის ანგარიში არ გაეწია, უვნებლად უშვებდა დამნაშავედ შერაცხილ ახალგაზრდა კაცს, თუმც არც მის საგანგებო მისიას დაიჯერებდა და, მითუმეტეს, ღვთის შვილობას.

ვერა ჰპოვებდა ბრალს მის მოქმედებაში და როგორღა დაესაჯა? და მთელი მისი დანაშაული ის გახლდათ, რომ ერთპიროვნულად კი არ გადაწყვიტა იესოს ბედი, არამედ დემოკრატიულად: ხალხს მიანდო.

აქ ჰპოვა, ამ დემოკრატიულ გადაწყვეტილებაში გარეგნული პასუხი შეკითხვისა: რა არის ჭეშმარიტება? – მახარებელნი უაღრესად დაწურული თხრობისას ყურადღებას რომ არ გაამახვილებდნენ ამ შეკითხვის ინტონაციაზე, ფრენსის ბეკონი კი სწორედ ამ გარემოებას ჩაუკვირდებოდა და ივარაუდებდა: დაცინვით უნდა იყოს ნათქვამიო.

და ეს იმიტომაც, რომ იუდეის მმართველი პასუხს ზრდილობისთვისაც არ მოუცდიდა.

საგანგებოდ შეისწავლიდა და ანალიტიკურად ამოიტანდა მზის სინათლეზე ჭეშმარიტების დანიშნულებას ბეკონი და, უპირველესად, მიშელ მონტენის ერთგვარად პარადოქსულ შეხედულებაზე დაყრდნობით:

– როცა ვამბობთ ადამიანი ცრუობსო, ეს ნიშნავს, ვთქვათ, რომ იგი გაგებულია ღმერთის წინაშე და არამზადა – ადამიანთა წინაშე. რადგან სიცრუე დაუფარავია ღვთისათვის და დაფარული – ადამიანთათვის.

ეს ერთგვარი პარადოქსულობაა, დითირამბისთვისაც რომ განაწყობდა ინგლისელ ესეისტსა და ფილოსოფოსს:

– მაინც ჭეშმარიტება, ეს ერთადერთი მსაჯული, გვასწავლის, რომ ჭეშმარიტების ძიება, რაც ჭეშმარიტების სიყვარული და გაფრთხილებაა, ჭეშმარიტების ცოდნა, რაც მისი არსებობაა, და ჭეშმარიტების რწმენა, რაც მისით ტკბობაა, უპირველესი სიკეთეა ადამიანის ბუნებისა.

და ლუკრეციუსის სიტყვის ხატოვანებაც უნდა შემოეშველებინა:

– რა თქმა უნდა, ზეცამ, დედამიწას რომ გადმოჰყურებს, უნდა ჩააგონოს ადამიანის გონებას მოწყალება, აღავსოს ჭვრეტის უნარით და მიმართოს



ჭეშმარიტების პოლუსებისაკენ.

ეს ჩაგონებაც, ეს აღვსებაც, ეს მიმართებაც მაშინ გვებოძება, თუკი ზეცისაკენ ახედვის უნარი არ ჩაგვეშრიტება, პილატე კი ცისკენ არ იხედება და ამიტომაც ველარ მოისმენს იესოს გულისთქმას, აღბეჭდილს მის ბაგეზე და შემონახულს იოანე ღვთისმეტყველის წყალობით: მე ვარ გზაი და მე ვარ ჭეშმარიტებაი.

და ან ბერნე სწორედ ჭეშმარიტების ძიებას რომ შეურჩევდა ღერძად თავის რომანს, მის დედააზრს მანანა გიგინეიშვილი ასე განმარტავდა: ჭეშმარიტების შეცნობის წყურვილი არ უნდა დაიშრიტოს, ჭეშმარიტება ადამიანის ბუნებაში დევს, ადამიანის არსებობის აზრია და მასშია, ჭეშმარიტებაშია ხსნაო.

პილატეს ირგვლივ არსებულ ისტორიულ ცნობებს კი ასე მოუყრიდა თავს, ანუ იმ წყაროებს, რითაც საზრდოობს ან ბერნეს რომანი, წარმართული სამყაროს დასასრულისა და ახალი ცხოვრების დასაწყისის შემძვრელი პანორამა:

იუდეველი ისტორიკოსი ფილონ ალექსანდრიელი, ამ ორი ეპოქის მიჯნაზე მცხოვრები, სასტიკ და ულმობელ მმართველად წარმოგვიჩენდა იუდეის პროკურატორს.

რომაელი საეკლესიო მწერალი და ისტორიკოსი ევსევი კესარიელი გვამცნობდა, რომ პილატე აბუჩად იგდებდა იუდეველთა სარწმუნოებრივ გრძნობებს და შეურაცხყოფდა მათ ზნე-ჩვეულებებს, და იერუსალიმში შევიდოდა ჯარით, რომაული სამხედრო და სახელმწიფო სიმბოლოებით, რაც ვერ გაებედათ მის წინამორბედ მმართველებს. იქ კიდევ ფულის მოთხოვნა იუდეველთა ტაძრებისათვის – აკვედუკის ასაგებად, იქ კიდევ სამარიტელთა გაჟლეტა, რის გამოც მას იუდეადან გაიწვევდა იმპერატორი კალიგულა და გადაასახლებდა გალიაში, ვიენში, სადაც შერისხული მმართველი თვითმკვლელობით დაასრულებდა სიცოცხლეს.

მთარგმნელი ყურადღებას მოგვაქცევინებს, რომ: ფილონ ალექსანდრიელი, რომელიც პილატეს თანამედროვეა, კალიგულასაგან მის გადასახლებასა და იქ კი თვითმკვლელობაზე არას ამბობს.

ხოლო ლეგენდები...

თითქოს თვითმკვლელის გვამს ტიბრში მოისროდნენ, მდინარე აბოგოძრდებოდა და გვამს გამორიყავდა; მაშინ რონაში ჩააგდებდნენ, მაგრამ გვამს არც რონა მიიღებდა: ბოლოს ლოზანის მახლობლად მაღალ მთებში, ტბაში მოისროდნენ. ძალაძ ლუცერნს მთა რომ გადმოჰყურებს, დღესაც პილატეს მთას უწოდებენ, თქმულება კი გვამცნობს, ყოველ ვნების პარასკევს ტბიდან წამოიმართება პილატეს აჩრდილი და ხელს იბანსო.

ამ ლეგენდის შემთხზველი, უნდა ითქვას, არავისზე ნაკლები მწერალი არ იქნებოდა!..

ტაციტუსი კი, ასევე ორი ეპოქის მიჯნაზე მცხოვრები, იმ ვერსიას ამჯობინებდა: პილატემ ქრისტეს მოძღვრება ირწმუნა და ნერონის სისასტიკის მსხვერპლი გახდაო.

და ამ ვერსიასაც არაერთი ლეგენდა დაუკავშირდებოდა: ეთიოპური მართლმადიდებელი ეკლესია პილატეს მარტვილად მიიჩნევდა, ისევე როგორც კოპტებიც, ეგვიპტელი ქრისტიანები – მარტვილად და წმინდანად.

უშუალო მსგავსებას აქ ვერ დავინახავთ, მაგრამ უნებურად როგორ არ გაგვახსენდეს იასე ფალავანდიშვილის, 1832 წლის შეთქმულების გამცემის, ეს უცნაური ხვედრი – რუსეთის იმპერიის უკიდურეს ჩრდილოეთში, პეჩორის ტერიტორიაზე, წმინდანს რომ გაუთანაბრებდნენ და მასავით ეთაყვანებოდნენ!..

ხოლო ქრისტიანული მიმტევებლობა პილატეზეც რომ გავრცელდებოდა, ამ მოტივით ხსნის მთარგმნელი პეტრე მოციქულის აპოკრიფული სახარების ფრაგმენტის იმ პასაჟს: პილატეს როდესაც შეატყობინებდნენ ჯვარცმულის აღდგომას მკვდრეთით, გააფრთხილებდა ამბის მომტანთ: არავის უთხრათ, არ ჩაქოლონო.

კანონიკური სახარებანი ორიოდ ცნობას კმაროდნენ?

სასულიერო მწერლები გაითვალისწინებდნენ მრევლის ცნობისწადილს და... კიდეც შეიქმნებოდა IV საუკუნეში ბერძნულ ენაზე „პილატეს აქტები“, იგივე „ნიკოდიმოსის სახარება“, რამდენიმე ერი რომ თარგმნიდა თავთავის ენაზე და იმდენად პოპულარული გახდებოდა, რომ ეკლესიაშიც იკითხებოდა, მიუხედავად აპოკრიფულობის, ანუ არაკანონიკურობისა.

მანანა გიგინეიშვილი იმასაც რომ დასძენს: ის ჩვენმა წინაპრებმაც თარგმნეს და საქართველოს ეკლესიაშიც იკითხებოდა ვნების პარასკევს – მაცხოვრის მიერ განკურნებული სნეულნი და დავრდომილნი თავიანთი ხსნისა და აღდგენის ამბავს რომ მოუთხრობენ პილატე პონტოელს და იესოს ღვაწლს წარმოაჩენენ, მმართველი კი შეახსენებთ ებრაელთა მიმართ ღვთის წყალობასო, – საგანგებოდ აღნიშნავს იმ გარემოებასაც: ან ბერნე ზედმიწევნით იცნობს „პილატეს აქტებსაც“, რადგან მის გაუთვალისწინებლად არ აღწერდა იმ ეპიზოდს, მხოლოდ ამ აქტებში დაცულს: სამარხის მცველებს დიდძალ ვერცხლს რომ მისცემდნენ, რათა ეცრუათ – ჩაგვეძინა და ამიტომაც ვერ შევნიშნეთ, გალილეველის მოწაფეებმა ცხედარი როგორ მოიპარესო.

ისტორიული ცნობების სიმწირე იუდეის მმართველზე მწერალს ლაღად გააშლევინებდა ფანტაზიას და ამიტომაცაა, პილატეს სიჭაბუკის წლებს ტევტობურგის ბრძოლას რომ დაუკავშირებდა, გერმანელთა გაერთიანებული ტომები არმინიუსის წინამძღოლობით ტყეში რომ შეიტყუებდნენ და სასტიკად დაამარცხებდნენ რომაელებს – გაუჟლეტდნენ რამდენიმე ლეგიონს.

ამ ბრძოლიდან ცოცხალს გამოიყვანდა თავის გმირს მწერალი, მისი ცხოვრების გვიანდელ ხანას კი მწარე სინანულით განმსჭვალავდა და ის საბედისწერო შეხვედრა იესოსთან სულაც ქრისტიანად აქცევდა, რათა ამ და მხოლოდ ამ რწმენით აღსრულებულიყო ნერონისაგან გამეტებული.

ისიც მსხვერპლად წარმოგვიდგება ნერონის მიერ აბრიალებული ცეცხლისა, რომს თვითონვე რომ გადაწვავდა, მაგრამ გადაბრალებით პირველქრისტიანებს გადააბრალებდა და ულმობლადაც გაუსწორდებოდა — თავისი სასახლის ბაღებში ჩირაღდნებად ააბრიალებდა მარგილებს მიჯაჭვულ უამრავ ქრისტიანს.

ისინი კი გალობით შეეგებებოდნენ მოწამებრივ აღსასრულს, ბედნიერნი ჭეშმარიტი სარწმუნოების დასამკვიდრებლად თავის გაწირვით.

მანანა გიგინეიშვილს ეს პასაჟები ამ შთაბეჭდილებას გაუჩენდა:

— რომანში თითქოს გაცოცხლდა სახარების მუხლები.

და წინასიტყვაობას წამებული ასულის იმ შეძახილით დააგვირგვინებდა, გალობას რომ გადაფარავდა:

— თქვენა ხართ ნათელი სოფლისა! ანთებულ სანთელს როდი მალავენ მოფარებულში, არამედ სასანთლეზე დგამენ, რათა გაუნათოს ყველას. ასე იბრწყინებს ნათელი თქვენი ადამიანთა წინაშე!

პილატე პონტოელი არ იმყოფება წამებულთა შორის, თუმც თვალნათლივია, რომ ისიც ასევე შეუდრეკლად შეეგებებოდა ცეცხლისაგან აბრიალებას, რაკიღა მტკიცედ ურწმუნოა, რომ ეს ქალაქიც და ეს ქვეყანაც საბოლოოდ ქრისტიანული სარწმუნოების ემბაზში განიბანება და მათი და მხოლოდ მათი იქნება. და დადგება ჟამი, როდესაც რომი და მთელი სამყარო მუხლს მოიდრეკს იესო ქრისტეს წინაშე.

მზადაა თავისი მოწამებრივი აღსასრულით დაემოწმოს მაცხოვარს.

და ამ აზრით ისიც ნათელია სოფლისა.

თავის დროზე რომ ვერ შეძლო იესოს დაცვა და ეს ეპიზოდი დაუვიწყარი იქნება კაცთა მოდგმის ხსოვნაში?

თავს იმით იმართლებს: შენი უდანაშაულობა და მეფური ღირსება ხომ ვიგრძენი და ვაღიარე. სოფელი დამძრახავს, მაგრამ შენ, უფალო, ბევრად აღემატები სოფელსო.

და პარადოქსს პარადოქსს დაურთავს:

— ჰო, ჭეშმარიტად, მე შენ მიგატოვე. ასე უნდა მომხდარიყო, უნდა მიმეტოვებინე, შენს ძლიერებას სჭირდებოდა ჩემი სისუსტე. უფალო, მე რომ შენ დამეხსენი, ჩვენ დავიღუპებოდით...

და ტრაგიკული — თუ ბედნიერი — აღსასრულის ზღურბლზე მდგარს იესოს სიტყვები თუ ჩაესმის:

— ჭეშმარიტად, პილატე, გიყვარვარ ყველაფერზე მეტად?

ჰოი რა ნეტარებით შეუძლია ამოთქვას:

— ჰო, აგერ ვარ, უფალო!

უიმისოდ ხომ მისთვის აზრი აღარა აქვს არაფერს, და თუ რაიმე სურს, დაე მასავით შეეძლოს განმეორება ყველას, თაობიდან თაობაზე: ვიცი, ცოცხლობს მაცხოვარი ჩემიო...

* * *

ესეც პილატე პონტოელის კიდევ ერთი პორტრეტი — მწერლური გულმოწყალების, ახალი აღთქმის აპოკრიფების, პილატეს აქტების ნაჟური, დიდი სულიერი გარდატეხის მოწმეს რომ გვხდის, რაკიღა ქრისტიანად მოქცევის პროცესი ღრმა ფსიქოლოგიური გააზრების წყალობით სავსებით დამაჯერებლად წარმოგვიდგებოდა.

და ჯერ მარტო ამ მხრივაა მნიშვნელოვანი მკითხველისათვის, განსაკუთრებით მაინც ახალთაობისათვის, მათთვის კიდევ საგანმანათლებლო დანიშნულებაც რომ ექნება ჩინებული ისტორიული ფონის გამოისობით.

მანანა გიგინეიშვილს ისეთი რანგის ისტორიული რომანი აძვს თარგმნილი: გუსტავ ფლობერის „სალამბო“ (კარლო ძილარჯიანთან ერთად)— ამ ჟანრის ძრესტომათიულ ნიმუშად რომ რჩება და ძალდაუტანებლად უთანასწორდება უოლტერ სკოტის მიერ დადგენილ სიმაღლეს, ამ არეალში ძართველ მწერალთა რომანებიც რომ შეიძლება ვიგულისხმოთ ჩვენდა საბედნიერად და თავმოსაწონებლად...

ან ბერნეს „პილატე პონტოელის მემუარები“ იძნებ მთლად ამ სიმაღლესაც ვერ შეწვდეს, მაგრამ ენობრივსტილური თვალსაზრისით ძართული ლიტერატურის მდინარებაში მხოლოდ ჩინებულ ნიმუშთა შორის თუ მოვიხსენიებთ, ეს იმიტომ, მანანა გიგინეიშვილის მთარგმნელობითი ხელოვნება კიდევ ერთხელ რომ გაიბრწყინებს და ძართული ენის დიდებულებასა და შთამბეჭდაობასაც ხელშესახებად განგვაცდევინებს.

ჩვენთვის უთუოდ მახლობელი უნდა აღმოჩნდეს ან ბერნეს მიერ წარმოსახული პორტრეტი იუდეის პროკურატორისა, რაკიღა პილატეს აქტები თუ ვინმემ, ჩვენც შევითვისეთ და გავიშინაურეთ და ჩვენი ეკლესიის მრევლიც აკი სულგანაბული უგდებდა ყურს მის თავგადასავალს ყოველ ვნების პარასკევს, კიდევ ერთხელ რომ ახლოვდებოდა მორწმუნეთა თვალთახედვაში ჯვარცმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რომლის სახებასაც სამუდამოდ უნდა გადაჯაჭვოდა სახება კაცისა, ვინც თავი აარიდა მის დაცვას და, იუდაზე ნაკლებ, მაგრამ მაინც საწყევრად გაიხადა თავი...

მაგრამ თანამგრძნობელნიც უნდა გამოსჩენოდნენ და ამ ბუნებისა და განწყობილების ადამიანთა შორის გამოჩნდებოდა ან ბერნეც, რათა თავისი გულისთქმა პილატე პონტოელის პირით ასე გაემჟღავნებინა:

— უამისოდ აზრი არა აძვს არაფერს... ვიცი, ცოცხლობს მაცხოვარი ჩემი.

როსტომ ჩხეიძე

განახლებულ კუპიურებს — ბარაქა!

ყველა ქვეყანა დროთა განმავლობაში თავისი ატრიბუტიკის გარკვეულ ცვლილებებს განიცდის, რომლებიც ყოფის ფაქტობრივად ყველა სფეროს, მათ შორის ფულის ნიშნებსაც ეხება. გამონაკლისი ამ მხრივ, ცხადია, არც საქართველოა, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ ეს პროცესი პერმანენტურად მიმდინარეობს.

ჯერ იყო და მიმოქცევიდან ამოღებულ იქნა ერთ და ორლარიანი კუპიურები, რომლებიც ამავე ნომინალის მონეტებმა ჩაანაცვლეს, შემდეგ შეიცვალა 20 და 50-ლარიანი კუპიურების დიზაინი და გაიზარდა გაყალბებისგან მათი დაცვის ხარისხი. ორიოდე კვირაში კი, კერძოდ, 1 ნოემბრიდან მიმოქცევაში 100 ლარის ნომინალის ახალი ბანკნოტები გაიშვება, რომლების პარალელურად, გარკვეული ხნის მანძილზე მიმოქცევაში ამავე ღირებულების ძველი კუპიურებიც იქნება.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ განახლებული 100-ლარიანი ნომინალის ბანკნოტები მომხმარებლისთვის მარტივად აღსაქმელი და, ამასთანავე, თანამედროვე მაღალტექნოლოგიური პროცესის შედეგად მიღებული დამცავი ნიშნებითაა დაცული. თანაც, ახალი ნიმუშის 100-ლარიან კუპიურებზე დატანილია ნომინალის ამოსაცნობი ნიშნები სუსტი მხედველობის მქონე პირთათვის. ამასთან, ბანკნოტებზე შენარჩუნებულია მომხმარებელთათვის კარგად ნაცნობი ლარის თავდაპირველი თემატიკა, თუმცა კი როგორც უკვე მოხმარებაში გამოშვებული, ასევე, მიმოქცევაში ჯერ არგამოსული ახალი ფულადი ნიშნების დიზაინთან დაკავშირებით, რომელსაც სპეციალისტებიც და მსურველებიც ეროვნული ბანკის საიტზე გაეცნენ, მთელი რიგი მეტად საგულისხმო კრიტიკული შენიშვნა გამოითქვა.

უმთავრესი პრეტენზიები ახალი კუპიურების დაბალი ხარისხის დაცვა (რასაც გაყალბების გამოვლენილი შემთხვევები მოწმობს), ბანკნოტებზე ქვეყნის სახელწოდების „საქართველოს“ მოშლა, ასევე მათზე ფინანსთა მინისტრის ხელმოწერის გაუქმება და მხოლოდ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ხელმოწერის დატოვებაა. ეს ცვლილებები კი, ექსპერტთა აზრით, საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული არ არის.

ახალი ნომინალის კუპიურების გაყალბებისგან დაცვის ხარისხზე მსჯელობა, ცხადია, პირველ ყოვლისა ექსპერტებისა და შესაბამის უწყებათა ზრუნვის საგანია, ხოლო ქვეყნის სახელწოდების მათზე დაუტანლობა კონსტიტუციონალური სამართლის მცოდნეთა ყურადღებასა და განმარტებას საჭიროებს. რაც შეეხება ახალი ნიმუშის ბანკნოტებზე მხოლოდ ეროვნული ბანკის აწ უკვე უფლებამოსილებათა ვადის გასვლასთან დაკავშირებით თანამდებობიდან წასული პრეზიდენტ ქადაგიძის ხელმოწერის დატოვებასა და ფინანსთა მინისტრის ხელმოწერის დაუტანლობას, ამაში სპეციალისტების ნაწილი რაიმე განსაკუთრებულს ვერაფერს ვერ ხედავს. ასეთი „აუღელვებლობის“ მიზეზად კი იმას ასახელებენ, რომ მსგავსი პრაქტიკა უამრავ ქვეყანაში არსებობს და ამით იქაურ ფულს ბევრი არაფერი აკლდება.

ეროვნული ვალუტის კუპიურების დიზაინის განახლებაზე ქართველებთან ერთად ინგლისელი, გერმანელი და ფრანგი სპეციალისტებიც მუშაობდნენ.

ოთარ ტურაბელიძე

ვალუტის გადამცვლელებმა რომ არ მოგვატყუონ!

სებ-ის ინფორმაციით, ბოლო პერიოდში, ზოგიერთი ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მხრიდან გახშირდა გაცვლითი კურსების მაჩვენებლებით მანიპულირების გზით მოქალაქეთა შეცდომაში შეყვანის ფაქტები. ასეთი ფაქტების აღკვეთისა და მომხმარებელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით, „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესში“ მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა.

კერძოდ, განისაზღვრა საყურადღებო კურსის ცნება და ვალუტის გადამცვლელი პუნქტის ვალდებულება მომხმარებლისათვის კურსისა და საკომისიოს თაობაზე ინფორმაციის მიწოდება ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ფორმით.

„ცვლილების მიხედვით, ვალუტის გადამცვლელი პუნქტი ვალდებულია, მომხმარებელს მიაწოდოს სრული ინფორმაცია ვალუტის გაცვლის კურსის, მომსახურების საკომისიოს და საყურადღებო კურსის (ასეთების არსებობის შემთხვევაში) შესახებ. საყურადღებო კურსი — ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მიერ განსაზღვრული კურსია, რა დროსაც ვალუტის ყიდვისა და გაყიდვის კურსებს შორის სხვაობა 3%-ს აღემატება.

ვალუტის გადამცვლელმა პუნქტმა აგრეთვე უნდა უზრუნველყოს მომსახურების საკომისიოს და საყურადღებო კურსის შესახებ კლიენტისათვის თვალსაჩინო ადგილას (სალაროსთან და ვალუტის ყიდვა-გაყიდვის დაფაზე) განთავსება, ყიდვა-გაყიდვის კურსის ამსახველი ანალოგიური შრიფტის ზომით. აღნიშნული წესის მიხედვით, ვალუტის ყიდვისა და ვალუტის გაყიდვის კურსების ამსახველი დაფა უნდა გაფორმდეს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული მოთხოვნებისა და თანმიმდევრობის დაცვით.

წესში დაზუსტდა ქვითრის გაფორმების საკითხები. ამიერიდან, პუნქტი ვალდებული იქნება მომხმარებელს ხელი მოაწერინოს ვალუტის გადაცვლის ოპერაციის ქვითარზე, რაც მომხმარებელს დამატებით საშუალებას მისცემს კიდევ ერთხელ გაეცნოს მის მიერ განხორციელებული გადაცვლის ოპერაციის პირობებს.

აღსანიშნავია, რომ ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მხრიდან მომხმარებელთა ინფორმირების ვალდებულების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, პუნქტის მფლობელს რეგისტრაციის გაუქმებიდან შემდეგი 2 წლის განმავლობაში არ ექნება უფლება ეროვნულ ბანკს ხელახალი რეგისტრაციის მოთხოვნით მიმართოს. ამასთანავე, ამ პერიოდის განმავლობაში აღნიშნული პირი არ იქნება უფლებამოსილი იყოს ვალუტის გადამცვლელი პუნქტის პარტნიორი/აქციონერი, მმართველობითი ორგანოს წევრი ან/და დირექტორი.

ეროვნული ბანკი მოუწოდებს მოსახლეობას, რომ ვალუტის გადაცვლის ოპერაციის განხორციელებისას გამოიჩინონ განსაკუთრებული ყურადღება და ტრანზაქციის შესრულებამდე გადაამოწმონ ინფორმაცია როგორც გაცვლითი კურსის, ისე მომსახურების საკომისიოს შესახებ. თუ თვლით, რომ თქვენი, როგორც მომხმარებლის უფლებები დაირღვა ვალუტის გადაცვლის პროცესში, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ საქართველოს ეროვნული ბანკის ცხელ ხაზზე 2 406 406 ან მოგვწეროთ cp@nbg.gov.ge“, — აღნიშნულია სებ-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

დააკავეს ყალბი ფულის გამსაღებლები

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი ფულის გასაღების ფაქტზე, საქართველოს ორი მოქალაქე დააკავა.

ბრალდებულებმა, წინასწარი შეთანხმებით, საქართველოს ტერიტორიაზე თურქეთის რესპუბლიკიდან შემოიტანეს დიდი ოდენობით ყალბი ამერიკული დოლარის კუპიურები. სისხლის სამართლის საქმეზე დაგეგმილი ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ბრალდებულთა დაკავება მოხდა უშუალოდ ყალბი კუპიურების გასაღების დროს.

კენეტ იალოვიცი: ძველი ლიდერები გვერდზე უნდა გადგნენ

„საქართველოში მოვიდა დრო, ძველი ლიდერები გვერდზე გადგნენ“, — ამის შესახებ მინიშნებას ამერიკის ყოფილი ელჩი საქართველოში კენეტ იალოვიცი აკეთებს.

ელჩის განცხადება საქართველოს საპარლამენტო არჩევნების შედეგებითაა ნაკარნახევი. მისი თქმით, შეერთებულ შტატებში ყოველთვის ასე ხდება - „არჩევნებში წაგებული ადამიანები ჩამავალი მზის სხივების ფონზე უჩინარდებიან“. ამდენად, სასურველია, საქართველოშიც ასე მოხდეს.

შესაბამისად, კენეტ იალოვიცის რეკომენდაციაა, რომ საქართველოში დამთავრდეს მესიების პერიოდი, ქართველებმა გადააბიჯონ დილემას, როცა ორივე მხარეს მყოფი „სიცოცხლეზე დიდი“ ადამიანების გავლენა ჯერ ისევ იგრძნობა. არჩეულ ადამიანებს სისტემატურად არ უნდა სჭირდებოდეთ გვერდზე ყურება და ვიღაც სხვისგან მითითებების მიღება.

ექსპერტი **ვახტანგ მაისაია** სრულიად იზიარებს კენეტ იალოვიცის დეფინიციას და აცხადებს, რომ კარგი იქნება, თუკი ბატონი იალოვიცი ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მთავარი მრჩეველი გახდება.

ვახტანგ მაისაიას თქმით, ახალი ეპოქა იწყება და ჩვენ შევდივართ არალიბერალური დემოკრატიის ეპოქაში, ანუ ავტორიტარული რეჟიმიდან გადავდივართ არალიბერალური დემოკრატიის ფორმაზე. შესაბამისად, პოლიტიკური კონიუნქტურა ისეა მოწყობილი, რომ ამ გარდამავალ პერიოდში ახალი ლიდერები და ახალი სისხლი გვესაჭიროება.

შეკითხვის საპასუხოდ, საიდან გამოჩნდებიან ახალი ლიდერები, როცა მესამე ძალის შექმნაც კი ვერ მოხერხდა? — ვახტანგ მაისაია გვპასუხობს: **„ნუ გეშინიათ, ახალი ლიდერები გამოჩნდებიან. ყველა ქართველს ჰგონია, რომ ის არის პოლიტიკოსი და ის არის პოლიტიკის მეფე. ქართველების პოლიტიკური ამბიციები იმხელაა, რომ დღეს ერთი პოლიტიკური პარტია გაქრება, ხვალ მეორე პოლიტიკური პარტია შეიქმნება და ამის დეფიციტი ნამდვილად არ იქნება“.**

„სახალხო პარტიის“ თავმჯდომარე **მამუკა გიორგაძე** აცხადებს, რომ ძველი ლიდერების განზე გადგომა კი არ არის მთავარი, არამედ საქართველოში ჯერ უნდა ჩამოყალიბდნენ ბუნებრივი და არა ხელოვნურად შექმნილი ლიდერები. დღეს კი მათი უმეტესობა ჯერ მოდის ხელისუფლებაში და მერე ხდება პოლიტიკოსი. არადა, პირიქით უნდა იყოს, ჯერ პოლიტიკოსებად უნდა ჩამოყალიბდნენ და შემდეგ მოვიდნენ ხელისუფლებაში.

„იალოვიცის ეს განცხადება მკაფიო მინიშნებაა, რომ ამერიკას ყელში ამოუვიდა ქართველი „პოლიტიკოსების“ თამაშები. ძველი ლიდერების განზე გადგომაში, ფაქტობრივად, მიშა და სხვა პიროვნებები იგულისხმებიან, თუმცა მარტო ეს პიროვნებები არ არიან მთავარნი, აქ მოვლენაა მთავარი. დასავლელი დიპლომატი გვეუბნება, რომ პასუხისმგებლობის მქონე ჯგუფები უნდა გამოჩნდნენ, ვისაც ქვეყნის ბედი ნამდვილად ანაღვლებს. იალოვიცის ნათქვამი მეტყველებს, რომ ბლეფია „ნაცმოძრაობის“ და „ქართული ოცნების“ პროდასავლურობა, რომ ესენი საბჭოთა ცნობიერების ადამიანები არიან, რომელთათვისაც პოლიტიკა მხოლოდ ბიზნესი და კეთილდღეობაა. საერთოდ, არ ჩანან რეალური ლიდერები, რეალური პოლიტიკა არ იქმნება. ეს ფუყე ტელელიდერები ერთი კვირა რომ არ გამოაჩინო ტელევიზიით, არავის გაახსენდება“, — აღნიშნა მამუკა გიორგაძემ და არჩევნების შემდეგ ცალკეულ ლიდერთა პოლიტიკიდან ჩამოცილების ფაქტიც დაგმო.

მისი თქმით, საინტერესოა, რას ნიშნავს მარშით გამოცხადებული გასვლა პოლიტიკიდან?! ამ ხალხს პოლიტიკა რა ჰგონია? შრომითი მოწყობის საკითხი? თუკი მიაჩნიათ, რომ ქვეყანაში ტრაგედია ტრიალებს, მაშინ რატომ მიდიან პოლიტიკიდან, რომელიც ქვეყნისთვის სამსახურს ნიშნავს? არჩევნებამდე არ იცოდნენ, თუ არ ჰქონდათ პოლიტიკური რესურსი? არჩევნების საღამოსვე რომ გაახსენდათ პოლიტიკიდან წასვლა?

„ფაქტობრივად, ეს არის გარიგებაზე წასვლა ხელისუფლებასთან, ეს არის მოსახლეობის მიტოვება. ასეთი რამ პირველად არ მომხდარა საქართველოში. ყველა არჩევნების წინ ასე გამოჰყავდათ მოედანზე თოჯინები და კრიტიკულ მომენტში ისინი მიდიოდნენ. სინამდვილეში, თითოეული მათგანის მხრიდან პოლიტიკიდან წასვლა არის მესიჯი ხელისუფლებისკენ, რომ მათ აღარ აქვთ პოლიტიკური ინტერესი, აღარ ებრძვიან ხელისუფალს. ამიტომ ისინი უნდა გამოიყენონ სამსახურში. ეს არის შეფუთული სიმართლე. დღეს გამოდიან პოლიტიკური პარტიები და ლაპარაკობენ, რომ ახალი კოალიციები უნდა გაკეთდეს და ახალი გაერთიანებები. კი მაგრამ, არჩევნებამდე სად იყვნენ? სწორედ არჩევნების წინ იყო შესაძლებლობა, რომ ასეთი გაერთიანებები შექმნილიყო, მაგრამ ეს ხალხი ოთხი წელი ივანიშვილის ფრთების ქვეშ ნებივრობდა, შემდეგ ჰქონდათ იმედი, კვლავაც ამ კეთილდღეობაში გააგრძელებდნენ პოლიტიკურ საქმიანობას და, რომ დაინახეს, რომ გადაგდებულები აღმოჩნდნენ და ივანიშვილმა სწორად შეაფასა მათი ფასი, პოლიტიკიდან წასვლა მოინდომეს“, — აცხადებს მამუკა გიორგაძე.

მანანა ნოზაძე

ზერელე, ტენდენციური შეფასებების კვალდაკვალ

ძალაუფლების კონსოლიდაცია და ერთპარტიულ მმართველობასთან დაახლოება „ოცნებისთვის“ შეცდომა იქნება...

ატლანტიკური საბჭოს მკვლევარი ლარა ლინდერმანი საქართველოს საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით საერთაშორისო დამკვირვებლების შეფასებებს ეთანხმება.

„ვეთანხმები საერთაშორისო დამკვირვებლების შეფასებას, რომ 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები იყო კუნკურენტული, კარგად ორგანიზებული და ფუნდამენტური თავისუფლებების ძირითადი ნაწილის დაცვით ჩატარდა“, — განუცხადა „აქცენტს“ ლინდერმანმა.

ექსპერტი წინასაარჩევნო და არჩევნების პერიოდში მომხდარ ინციდენტებზეც საუბრობს და აღნიშნავს, რომ მიუხედავად რიგი ინციდენტებისა, საარჩევნო კამპანია აქტიური, კონკურენტუნარიანი და მთლიანობაში, წინა არჩევნებთან შედარებით, გაუმჯობესებული იყო.

„მიუხედავად იმისა, რომ ამომრჩეველთა აქტივობა განსაკუთრებით მაღალი არ ყოფილა, არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვება არის იმის დემონსტრირება, რომ ამომრჩევლები ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მმართველი ძალის ძირითადი ტრაექტორიით კმაყოფილები არიან. ხელისუფლებას ამ პერიოდში ჰქონდა რიგი წარმატებები— უნივერსალური ჯანდაცვის სისტემის შექმნა, სასამართლო სისტემის რეფორმირების დაწყება და დასავლურ ინსტიტუტებთან ინტეგრირების პროცესის გაგრძელება. რაც შეეხება „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, მან იმაზე ნაკლები ხმები მიიღო, ვიდრე ელოდა, თუმცა მთლიანობაში მაინც სოლიდურ შედეგს მიაღწია და ჩამოყალიბდა ერთადერთ მნიშვნელოვან ოპოზიციურ პარტიად პარლამენტში“, — განაცხადა ლინდერმანმა.

კითხვაზე, **„ქმნის თუ არა საფრთხეს „ქართული ოცნების“ საკონსტიტუციო უმრავლესობით მოსვლა?“,** — მან განაცხადა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ დიდი სამუშაო უნდა გასწიოს, რათა უპასუხოს ქვეყნის წინაშე მდგომ გამოწვევებს“.

„საქართველოს დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით, ძალაუფლების კონსოლიდაცია და ერთპარტიულ მმართველობასთან დაახლოება „ქართული ოცნებისთვის“ შეცდომა იქნება. „ქართულმა ოცნებამ“ ყურადღება უნდა მიმართოს მშვიდ, მომავალზე ორიენტირებულ და პრაქტიკულ მმართველობაზე, რომელიც შეიცავს „ნაციონალური მოძრაობასთან“ თანამშრომლობასაც. მათ უნდა იმუშაონ იმაზე, რომ აქცენტი პოლიტიკური კულტურიდან პოლიტიკური ოპონენტების შეურაცხყოფაზე არ იყოს გადატანილი და ყურადღება იყოს გამახვილებული მეტ პრაქტიკულ პოლიტიკურ დისკურსსა და მმართველობაზე პარლამენტში“, — განუცხადა „აქცენტს“ ლინდერმანმა.

რაც შეეხება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გადაწყვეტილებას პარლამენტში შესვლასა და არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობათან დაკავშირებით, აღნიშნულს ექსპერტი დადებითად აფასებს.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გადაწყვეტილებას დადებითად ვაფასებ. ანალიტიკოსმა ჰანს გუტბროდმა აღნიშნა, რომ პარტიის რიტორიკა ხშირად ნეგატიური იყო, რასაც შესაძლოა, ამომრჩევლების არჩევანი შეეცვალა. თუმცა მიუხედავად ამისა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ რჩება ძლიერ პრო-დასავლურ ხმად, მყარი მხარდაჭერითა და ნიჭიერი წევრებით, რომელთაც პარლამენტში კონსტრუქციული ბალანსის შეტანა შეუძლიათ“, — განაცხადა ლინდერმანმა.

ექსპერტი „სამწუხაროს“ უწოდებს იმ ფაქტს, რომ „თავისუფალი დემოკრატები“ და „რესპუბლიკელები“ პარლამენტს გარეთ აღმოჩნდნენ, ხოლო პრორუსულმა პარტია „პატრიოტთა ალიანსმა“ 5%-იანი ბარიერი გადალახა.

„სამწუხაროა, რომ საქართველოს „პატრიოტთა ალიანსმა“ მოახერხა პარლამენტში შესვლა. ეს სავარაუდოდ, იმ ფართო და ძვირადღირებული პროპაგანდისტული კამპანიის შედეგია, რომელსაც რუსეთი საქართველოში აწარმოებს. თუმცა თავად ფაქტი, რომ მათ პარლამენტში შესვლა შეძლეს, არ არის კატასტროფული. ისინი საკანონმდებლო ორგანოში მხოლოდ მცირედით იქნებიან წარმოდგენილები. ასე, რომ ნაკლებ სავარაუდოა, მათ რაიმე ზეგავლენა მოახდინონ საპარლამენტო საქმიანობის შედეგებზე“, — განუცხადა „აქცენტს“ ლინდერმანმა.

მარიკა ჩუბინიძე

ავსტრიაში ჰიტლერის ყოფილ სახლს დაანგრევენ

ავსტრიის ხელისულფლებამ ქალაქ ბრაუნაუამ-ინში ადოლფ ჰიტლერის მშობლიური სახლის დანგრევა გადაწყვიტა. ოფიციალური წყაროებით, სამსართულიანი სახლი, რომელშიც ფიურერი დაიბადა, ნეონაცისტების სისტემატური შეკრების ადგილი გახდა. სახლის დემონტაჟზე უკვე წლებია, მსჯელობდნენ. პრობლემები სახლის ახლანდელმა მფლობელებმაც შექმნეს. ისინი ნაგებობის გაყიდვაზე უარს ამბობდენ. სასამართლო დავების გამო შენობა 2011 წლის შემდეგ დაცარიელებული იყო. პრობლემის მოგვარება დეპუტატებმა შეძლეს. მათ სპეციალური კანონი მიიღეს, რომლის მიხედვითაც, სახლის მფლობელის იძულებით გამოსახლება კომპენსაციის სანაცვლოდ მოხდება.

კიევი მოსკოვს სანქციებს უხანგრძლივებს

პრეზიდენტ პოროშენკოს განკარგულებით გასულ წელს რუსი ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ დაწესებული სანქციები ერთი წლით გახანგრძლივდა. გაიზარდა იმ პირთა სიაც, რომლებიც ანექსირებულ ყირიმში უკანონო არჩევნების ჩატარების ხელშეწყობისთვის პერსონა ნონ გრატად გამოცხადდებიან. ამ დროისათვის სანქციები 259 ფიზიკურ და 46 იურიდიულ პირზე ვრცელდება.

ვაშინგტონი მოსულის ოპერაციას ეხმაურება

ვაშინგტონი ეჭვობს, რომ ისლამისტები მოსულის მოსახლეობას ცოცხალ ფარად გამოიყენებენ. ამის შესახებ თეთრი სახლის პრეს-მდივანმა ჯოშ ერნესტმა განაცხადა. მისივე თქმით, ერაყის სახელისუფლო ძალებს ისლამისტური მებრძოლები სერიოზულ წინააღმდეგობას გაუწევენ, თუმცა კოალიციის ავიაციის დახმარებით ერაყის არმია მოსულის გათავისუფლებას შეძლებს. ერაყის სიდიდით მეორე ქალაქის გასათავისუფლებლად მასშტაბური სახმელეთო ოპერაცია ოთხშაბათ დილით დაიწყო. არმიის შენაერთებმა მოსულის სიახლოვეს მდებარე ქალაქი ნიმრუდი 24 საათში დაიკავეს.

ჩინეთში სტიქიას ებრძვიან

ჩინეთის სამხრეთ პროვინციებს ტროპიკულმა შტორმმა „სარიკამ“ გადაუარა. ასობით ათასი ადამიანი დროებით

უცნობი გენერალისიმუსი...

ხელმძღვანელები სტალინის გარემოცვიდან

ერთხელ შევედი მასთან, რომ მეთქვა, დადგენილების პროექტი უკვე მზად იყო. ამ დროს რაღაც სასწრაფო საქმეზე მასთან კაბინეტში შემოვიდა მისი თანაშემწე ბასკაკოვი და შეიძლება დაგელაპარაკოთო? – ეკითხება.

მოლოტოვი თავწახრილი ხელის მოწერას განაგრძობს, არ ეპასუხება.

– თქვენ მე პირველი საათისათვის დამიბარეთ, რათა წინადადება წარმომედგინა, – შეახსენა ბასკაკოვმა.

მოლოტოვმა ჩემი მომზადებული პროექტის კითხვას თავი ანება, თანაშემწის მიერ შემოტანილი ქაღალდი აიღო და მის თვალებში რაღაც ისეთი დავინახე. რომ უცებ შემაჟრჟოლა.

– ეს რა არის?! – აღშფოთდა მოლოტოვი, – ეს რა აბდაუბდაა?!

თქვა და ბასკაკოვს სახეში დაჟინებით მიაჩერდა:

– პირი მაინც მოგეპარსათ. ან იქნებ წვერის გაზრდა გადაწყვიტეთ? არ იცით, ტვინი თავშია და არა წვერ-ულვაშში.

მოლოტოვმა ახლა ჩემზე გადმოიტანა განრისხებული მზერა:

– აიღეთ თქვენი ქაღალდები და წადით, დღეისთვის საკმარისია!

ქაღალდები ავიღე და კარისკენ წავედი, რომ მესმის მისი გაღიზიანებული ხმა:

– ერთი ამათ შეხედეთ, არ შეიხსნეს ქამრები, არ შემოაწყეს ფეხები მაგიდაზე! აუღიათ თავები და გაველურებული ძაღლებივით თვალებს აქეთ-იქით აფეთებენ.

მოლოტოვის ამ ჩხუბსა და უსიამოვნო სიტყვებს აღარ მოვისმენ-მეთქი, კაბინეტიდან რომ გავედი, მისაღებში ვიაჩესლავ მიხაილოვიჩის თანაშემწე ლაპშევი დავინახე და, ხელში რომ მიჭირავს, ხელმოუწერელია-მეთქი, – ვუთხარი.

ამ დროს ვიაჩესლავ მიხაილოვიჩის თანაშემწე ბასკაკოვიც გამოვიდა.

– ისე მომექცა, როგორც ზანგებს ექცევიან ამერიკაში, – თქვა ბასკაკოვმა. მის ნახევრად მოჭუტულ თვალებში დიდი წყენა და ტკივილი იყო.

მინდოდა დამემშვიდებინა, მაგრამ, მოლოტოვის მეორე თანაშემწემ – სმირნოვმა დამასწრო.

– ცხოვრებისეული სიმართლის წინააღმდეგ ნუ მიდიხართ, ნუ აზვიადებთ, ბუზიდან აქლემს ნუ შობთ, არ გირჩევთ!

– მოეშვი მაგ სისულელეს, – მოუჭრა ბასკაკოვმა.

– აბა სცადე და მისივე სასიკეთოდ ბრიყვსა და უგნურს დარიგება მიეცი, ჩემი ავისმდომიაო, მაშინვე მტრად ჩაგთვლის, – თქვა სმირნოვმა და ახლა ჩემკენ გამოიხედა: – ასე რას გაჩუმებულხართ, სამკითხველო ხომ არ არის!

– რომ მოგესმინათ, – მოგვიბრუნდა მე და ლაპშევს ბასკაკოვი, – როგორ მითხრა – ყეყეჩო, ჭკვიანი მხოლოდ იმათ ჰგონიხართ, ვინც არ გიცნობთო, ვერ წარმოიდგენთ, როგორ შეურაცხმყო... წავალ, დავტოვებ ამ სამსახურს, ეშმაკსაც წაუღია, სადმე სხვაგან ვიმუშავებ.

ამ დროს ზარის ხმა გაისმა – მოლოტოვი ისევ ბასკაკოვს იძახებდა.

რომ გავიგე, ბასკაკოვი მას იმ წყენასა და შეურაცხყოფაზე ელაპარაკებოდა, გულზე მომეშვა და მართლაც, ბასკაკოვმა იმ ახსნა-განმარტების შემდეგ ისევ თავის თანამდებობაზე განაგრძო მუშაობა.

* * *

მ.ი. კალინინი ყოველივე იმ საუკეთესოს განსახიერება გახლდათ, რაც კი პროლეტარიატის რევოლუციურმა პარტიამ შექმნა. ხალხში მას დიდი ავტორიტეტი ჰქონდა. ხოლო იმის დროს მისი სახელი, როგორც პოლიტიკური მოღვაწისა და რევოლუციური ტრიბუნის, კიდევ უფრო გაიზარდა. მიხაილ ივანოვიჩი ფორმალობის, მედავითნეობის, დოგმატიზმის, თალმუდიზმის მოწინააღმდეგე გახლდათ. ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით; იყო ნამდვილი აღმზრდელი, მთელი არსებით უწევდა პროპაგანდას, მოუწოდებდა ადამიანებს ჰყვარებოდათ თავიანთი სამშობლო, ყოფილიყვნენ პატრიოტები, დაეცვათ თავიანთი ქვეყანა. კომუნისტური აღზრდის ამოცანებს, როგორც წესი, ყოველთვის უკავშირებდა სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკულ საკითხებს. „კომუნისტური პრინციპები, თუ მათ ჩვეულებრივი სახით ავიღებთ, ეს არის დიდად განათლებული, პატიოსანი, თავდადებული ადამიანის პრინციპები; ეს არის სოციალისტური სამშობლოს სიყვარული, მეგობრობა, ამხანაგობა, ჰუმანურობა, პატიოსნება; ეს არის სოციალისტური შრომის სიყვარული და მთელი რიგი სხვა საუკეთესო, ყველასთვის გასაგები თვისებები“, – განმარტავდა კალინინი.

დასაწყისი იხ. № 65-140, 142, 143, 146, 150, 152, 156, 157, 162, 164, 166, 174, 186, 188, 190, 191

სტალინი. პირადი ცხოვრება

იაკობ ჩაღაევის მოგონებები

ჩაწერილია
გ. ა. კუმანევის მიერ

თავის მრავალრიცხოვან შრომაში, მიხაილ ივანოვიჩი გამუდმებით ავითარებდა თემას საბჭოთა პატრიოტიზმის შესახებ, რომელიც მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „ფრთებს ასხამს, გმირებად ხდის მანამდე შეუმჩნეველ, სრულიად უბრალო ადამიანებს, მოქმედებისათვის აღძრავს“.

კალინინმა შესანიშნავად იცოდა და ძალიან აფასებდა ხელოვნებას და ლიტერატურას, შეუპოვრად იბრძოდა ნატურალიზმის წინააღმდეგ, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საბჭოთა მწერლების და მხატვრების მოვალეობაა, იყვნენ რუსული რეალისტური სკოლის საუკეთესო ტრადიციების გამგრძელებლები.

კალინინი აღიარებული იყო, როგორც დიდად განათლებული ეკონომისტი... ღრმა შთაბეჭდილებას ტოვებს მისი გამონათქვამები, მწარმოებლური შრომის შემდგომი ზრდის, საბჭოთა ადამიანის აღზრდის, შრომითი დისციპლინის უმკაცრესი დაცვის, საზოგადოებრივი საკუთრებისადმი მზრუნველობის შესახებ. ფიზიკური შრომის მიმართ პატივისცემა, პროლეტარული მორალის ერთ-ერთი უძლიერესი საფუძველთაგანიაო, – აღნიშნავდა იგი.

ის, რომ უბრალო ადამიანები ხშირად მიმართავდნენ კალინინს, არაერთხელ ვყოფილვარ ამის მოწმე, მოწმე მშრომელ ადამიანებთან მისი გულშიჩამწვდომი საუბრების. შეეძლო ისე გულდასმით, ისე ყურადღებით ესმინა ადამიანისათვის, როგორც არავის. მხედველობაში იღებდა, ანგარიშს უწევდა მათ ხასიათს, ასაკს, ჯანმრთელობის მდგომარეობას, განწყობას. უსმენდა ყურადღებით, ინტერესით, უსიტყვოდ – არასოდეს ჩაერეოდა, არასოდეს შეაწყვეტინებდა საუბარს, ხანდახან ბლოკნოტში თუ ჩაინიშნავდა რაიმეს. მოსაუბრეს ბოლომდე რომ მოუსმენდა, მაშინვე გასცემდა განკარგულებას საჭიროებისდა მიხედვით ყოველთვის პოულობდა გზას როგორც ხანშიშესულ, ცხოვრებისეული გამოცდილებით დაბრძენებულ, ისე ახალგაზრდა მუშისა თუ კოლმეურნე გლეხის გულამდე. ვინმე თხოვნით თუ მიმართავდა, დროს არასოდეს დაინანებდა, რათა იმ ადამიანს სიძნელის გადალახვაში დახმარებოდა... არაერთხელ მოსთათბირებია მას, როგორც ი.ბ. სტალინი, ისე მთავრობის და პოლიტბიუროს სხვა წევრები.

* * *

მ.ი. კალინინთან ჩემი მრავალი შეხვედრიდან განსაკუთრებით დამახსომდა ერთი შეხვედრა, რომელიც მაშინვე ჩავიწერე. მინდა, მოგიყვეთ იმის შესახებ, როგორც ზემონათქვამის დამახასიათებელი მაგალითი. ეს იყო 1941 წლის თერთმეტი ნოემბრის საღამოს, კუიბიშევში, სადაც სამთავრობო დაწესებულებებსა და საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან ერთად ვიყავი ევაკუირებული... შევედი პროექტი ხმის მისაცემად გადამეცა.

კალინინი ძალიან თბილად შემხვდა. ჩემი თავი წარუდგინა თავის სტუმარს – კადრის ძველ მუშაკს, რომელიც სერგეი ფეოდოროვიჩის სახელით გამეცნო და რომელიც სტუმრად სწვეოდა თავის ძველ მეგობარს, რათა მისი დახმარებით წითელი არმიის რიგებში ჩარიცხულიყო. მაგრამ, იმის გამო, რომ სერგეი ფეოდოროვიჩი უკვე საკმაოდ ასაკოვანი კაცი იყო, მიხაილ ივანოვიჩი მის თხოვნას არ დაეთანხმა და მეც ვურჩიე, ფრონტისთვის გამოსადეგი სამუშაო ზურგში განთავსებულ რომელ წარმოებაში ეძებნა. „დიახ, მეც ეგ შევთავაზე“, – თქვა კალინინმა.

– თქვენ, ალბათ, ფიქრობთ, ფაშისტების დანახვაზე შიშით გული გამისკდება, – განაცხადა სერგეი ფეოდოროვიჩმა, – არა, მე არაფრის მეშინია. გაგებული მაქვს, მშიშარა კაცს ყველგან საფრთხე ელანდებაო, მაგრამ, ის, ვინც ვაუკაცია, შიშზე არასდეს ფიქრობს. სამოქალაქო ომის დროს ჩვენ ხომ მართლაც შიშზე არასოდეს ვფიქრობდით!

– ვისაც ყოველდღე უწევს შიშის დაძლევა, – შენიშნა მიხაილ ივანოვიჩმა, – ის უკვე აღარ ფიქრობს საფრთხესა და საშიშროებაზე. კაცის ყველაზე დიდი ღირსება ის არის, არ დაკარგოს მხნეობა არც ერთ ვითარებასა და გარემოებაში, მაშინ როცა მშიშარა კაცს საკუთარი ჩრდილისაც კი ეშინია.

უკვე ასაკს მიღწეულმა სერგეი ფეოდოროვიჩმა – ვიფიქრებ, თქვენს რჩევაზეო, – თქვა და გამოგვემშვიდობა.

მარტონი რომ დავრჩით, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს უშველებელ მაგიდაზე გაშლილ ქაღალდებზე მივუთითე და ვუთხარი, რომ არ შეიძლებოდა ასე დაძაბულად მუშაობა, რომ საჭირო იყო გაფრთხილებოდა ჯანმრთელობას.

(გაგრძელება იძნება)

თავშესაფარშია გადაყვანილი. ადგილობრივთა ევაკუაცია ამ დრომდე გრძელდება. სტიქიის გამო ჰაიკუ მეილანის საერთაშორისო აეროპორტში ყველა ავიარეისი გაუქმდა. ქარიშხლის სიჩქარე საათში 162 კილომეტრს აღემატება.

ბრიტანეთი რეიტინგში დაქვეითდა

ბრიტანეთი იმ ქვეყნების ხუთეულში უკვე აღარ ირიცხება, სადაც საინვესტიციოდ მიმზიდველი გარემოა. საკონსულტაციო კომპანია „ერნსტ ენდ იანგის“ შეფასებით, საფინანსო მიმზიდველობა ბრიტანეთმა ევროკავშირიდან გასვლის გადაწყვეტილებით დაკარგა. ანალიტიკოსთა აზრით, პოტენციურ ინვესტორებს, პირველ რიგში, ბრექსიტის გამო გაურკვევლობა აშინებთ, რასაც სხვა გეოპოლიტიკური ცვლილებებიც ემატება, მათ შორის, ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნების გავლენაც. ამჟამად ბრიტანეთი საინვესტიციო რეიტინგში მეშვიდე ადგილს იკავებს. მას წინ უსწრებს შეერთებული შტატები, ჩინეთი, გერმანია, კანადა, საფრანგეთი და იაპონია.

გერმანიაში სკოლებს ტერაქტებით ემუქრებიან

მუქარის შემცველი წერილების გამო გერმანიაში 11 სკოლა დაიხურა. გზავნილები ქვეყნის აღმოსავლეთ რეგიონებში მოქმედმა სასწავლებლებმა ელექტრონულ მისამართზე მიიღეს. პოლიციამ გამოძიება უკვე დაიწყო. მის დასრულებამდე მშობლების მოთხოვნით სკოლებში სასწავლო პროცესი შეაჩერეს. ანალოგიური მუქარის წერილები მიიღეს კიდევ ორ გიმნაზიაში. სამართალდემცველები ახლა იმის დადგენას ცდილობენ, რამდენად სერიოზულია საფრთხე.

დონალდ ტრამპს პუტინთან შეხვედრა ინაუგურაციამდე სურს

დონალდ ტრამპი ისურვებდა საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში პუტინს ინაუგურაციამდე შეხვედროდა. ამის შესახებ პრეზიდენტობის რესპუბლიკელმა კანდიდატმა ადგილობრივი რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. „ამერიკელი ლიდერების პრობლემა ისაა, რომ ისინი პუტინს ხშირად შეურაცხყოფენ. ამიტომ სძულს მას ობამაც და კლინტონიც. მე კი მას ინაუგურაციამდეც სიამოვნებით შევხვდებოდი.“ – აღნიშნა ტრამპმა.

◎ წყალთხილამურობა

ვეტერანის ჯილდოები

გენადი გურალია

ესპანეთის ქალაქ სესენაში დამთავრდა 35 წელს გადაცილებულ წყალმოთხილამურეთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც წარმატებით იასპარეზა ფოთელმა სპორტსმენმა, მსოფლიოსა და ევროპის პირველობების მრავალგზის გამარჯვებულმა და პრიზიორმა გენადი გურალიამ. ამჯერად მან ტრამპლინიდან ხტომაში 53.9 მეტრით მესამე ადგილი დაიკავა. ჩვენებურს ლიტველმა რიკარდას ლაზინსკასმა (55.9) და ბრიტანელმა ჯეისონ სილსმა (60.6) აჯობეს, რომლებსაც, შესაბამისად, ვერცხლისა და ოქროს მედლები ერგოთ.

გურალიამ უკეთესი შედეგი აჩვენა მრავალჭიდში (სლალომი, ფიგურები, ტრამპლინი) - 2855.01 ქულით მე-2 ადგილი დაიკავა და ვერცხლის მედალი ხვდა. მსოფლიოს ჩემპიონობა 2936.43 ქულით ბრიტანელმა ჯეისონ სილსმა მოიპოვა.

გივი გაგუა

◎ კალათბურთი

თბილისის „დინამო“ საქართველოს სუპერთასის მფლობელია

საქართველოს სუპერთასის მფლობელი თბილისის „დინამო“ გახდა. ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა დინამოელებმა კოტე ტუღუშის „ქუთაისს“ 83:71 სძლიეს და სეზონის მეორე ტიტულს დაეუფლნენ.

ოთარ ქორქიას სახელობის სუპერთასის გათამაშებამ ფორმატი, უფრო სწორად კი გამართვის დრო შეიცვალა და თუკი აქამდე სეზონის ბოლოს თამაშდებოდა, ამიერიდან დასაწყისში გაიმართება.

დინამოელებმა „ქუთაისი“ მიმდინარე სეზონში უკვე დაამარცხეს. 6 დღის წინათ დუდუ დადიანის მემორიალის ფინალში ხოშტარიას გუნდმა იმერლები 12 ქულით — 75:63 დაამარცხა. ზუსტად ასეთი სხვაობით იმარჯვეს დინამოელებმა ამჯერადაც და ლეგენდარული მწვრთნელის — ოთარ ქორქიას სახელობის თასს დაეპატრონნენ.

თანაბარი პირველი პერიოდის შემდეგ თამაში მეორეშიც თანაბრად წარიმართა, თუმცა ტაიმის მიწურულს დინამოელებმა გუნდური თამაშის წყალობით უპირატესობა მოიპოვეს და ეს ანგარიშშიც ასახეს. დიდი შესვენებისთვის „დინამო“ 46:41 იგებდა და მოედანზე დაბრუნებული კიდევ უფრო დამაჯერებლად ათამაშდა. თბილისელთა ახალწვეულმა ნიკოლა მარავიჩმა ფარქვეშეთი დაიპყრო, ხოლო პერიმეტრიდან მეორე ლეგიონერი — დეონტა ვონი აქტიურობდა და 22:13 მოგებული მესამე პერიოდის შემდეგ დინამოელები 14 ქულით დაწინაურდნენ.

ბოლო პერიოდში ვითარება აღარ შეცვლილა. ქუთაისელთა ცდა, ვითარება გამოესწორებინათ, სურვილად დარჩა და „დინამომ“ მიმდინარე სეზონში უკვე მეორე ტიტული მოიგო. გამარჯვებულებს 20 ქულით ნიკოლა მარავიჩმა ულიდერა. 16 ქულით, 7 მოხსნით და 4 პასით გამოირჩა დეონტა ვონი, ხოლო ილია ლონდარიძემ 12 ქულა და 7 მოხსნა მიითვალა. „დინამოში“ დებიუტი ჰქონდა ლევან ფაცაციას, რომელსაც ორმაგ დუბლამდე მცირედი დააკლდა — 11 ქულა და 9 მოხსნა მოაგროვა. ქუთაისელებს არ ეყოთ ეროვნული ნაკრების ძირითადი გამთამაშებლის -— გიორგი ცინცაძის 28 ქულა და 11 პასი. სტუმართაგან ცინცაძის კვალზე 10-ქულიან ბარიერს ნაკრების კიდევ ერთმა წევრმა — ბექა ბექაურმა უწია.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რაგბი

სამოა დიდი დანაკლისით მოდის

„ბორჯლალოსანთა“ მომავალი მეტოქე სამოას ნაკრები ნოემბრის ტესტ-მატჩებს დიდი დანაკლისით ხვდება და შესაბამისად, თბილისსაც შესუსტებული შემადგენლობით ეწვევა.

ტრავმების გამო კუნძულელები შემდეგ ლიდერებს მოისაკლისებენ: „სტად ფრანსეს“ ბურჯი პოლ ელო-ემილი, „გლოსტერის“ კვაჭი მოტუ მატუუ, „სეილ შარქსის“ ფლანკერი თი-ჯეი იოანე, „ბრისტოლის“ ნახევარმცველი ტუსი პისი, „უოსპსის“ ცენტრი ალაპათი ლეიუა და „ჩიფსის“ ფულბეკი ტიმ ნანაი-უილიამსი.

საქართველოს ნაკრებს ნოემბერში სამი თამაში ელის, აქედან ორი — თბილისში. 12 ნოემბერს საქართველოს დედაქალაქს იაპონია ეწვევა, რომელსაც სხვადასხვა მიზეზით 10 ლიდერი აკლია. სამოა თბილისში 19 ნოემბერს ითამაშებს და ორივე ეს შეხვედრა „მიხეილ მესხზე“ 15 საათზე დაიწყება. ტესტ-სერიას საქართველო შოტლანდიაში სტუმრობით ასრულებს.

მანამდე იაპონელები 5 ნოემბერს ტოკიოში არგენტინას მასპინძლობენ, ხოლო თბილისის შემდეგ ევროპულ ტურნეს განაგრძობენ და კარდიფში უელსს, ხოლო საფრანგეთში ფიჯის ეთამაშებიან. სამოა 12 ნოემბერს ტულუზაში საფრანგეთს შეხვდება, სადაც თბილისური მატჩის შემდეგ დაბრუნდება და გრენობლში კანადას შეერკინება.

კობა კობახიძე

◎ ხელბურთი

პირველი მატჩი - სირაკუზაში

საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ეროვნული გუნდი 2020 წლის ევროპის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო მატჩს 2 ნოემბერს სირაკუზაში იტალიასთან მოაწყობს. განმეორებითი შეხვედრა თბილისში 6 ნოემბერსაა დაგეგმილი. ჩვენს ჯგუფში კიდევ ერთი გუნდია — ლუქსემბურგის ნაკრები. მომავალი ორთაბრძოლებისთვის მონდომებით ემზადებიან „ჯვაროსანთა“ ლიდერები, რომლებიც წარმატებით თამაშობენ ევროპულ კლუბებში.

მაკედონიაში 5 ტურის შემდეგ ქართველების ორივე გუნდი პირველ ოთხეულშია: 12 ქულით ლიდერობს რევაზ ჭანტურიას „პელისტერი“, ხოლო 9 ქულით მეოთხე ადგილზეა თეიმურაზ ორჯონიკიძის „პრილეპი“. ქართველმა ხელბურთელმა „პროლეტთან“ მოგებულ მატჩში (27:26) 9 ბურთი გაიტანა, სულ კი მის ანგარიშზე გამართულ 5 მატჩში 35 გოლია.

უტევს ირაკლი ჩიქოვანი

რუმინეთში 8 ტურია ნათამაშები. 7 ქულით მეთორმეტე საფეხურზეა შოთა თევზაძის „რეშიცა“, ხოლო 9 ქულით მე-11 პოზიციაზეა „დუნარეა კელერაში“, რომლის ლიდერმა ირაკლი ჩიქოვანმა უკვე 40 გოლს მოუყარა თავი.

ზემოთ დასახელებულ ხელბურთელთა გარდა, უცხოურ კლუბებში კიდევ რამდენიმე ქართველი თამაშობს. ირანში განაგრძობს კარიერას რატი მსხვილიძე, სერბეთის „ვოივოდინაში“ — სერგო დათუკაშვილი, ირლანდიის ლიგაში — რობერტ ბეჟანიშვილი, საბერძნეთის მეორე დივიზიონის კლუბ „აიიოს სერიფატოში“ — ირაკლი კბილაშვილი. ჯერჯერობით უკლუბოდაა ვლადიმერ რუსია, რომელიც ტრავმირებულია და ვერ ვარჯიშობს.

25 ოქტომბრიდან საქართველოს ნაკრების ყველა კანდიდატი თბილისში შეიკრიბება და იტალიასთან მატჩებისთვის მოემზადება. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის გამარჯვებული მთავარ შესარჩევ რაუნდში გადის.

კალენდარი

2 ნოემბერი. სირაკუზა. იტალია-საქართველო.

6 ნოემბერი, თბილისი, საქართველო-იტალია.

4 იანვარი. საქართველო-ლუქსემბურგი.

7 იანვარი. ლუქსემბურგი-საქართველო.

11 იანვარი. ლუქსემბურგი-იტალია.

14 ან 15 იანვარი. იტალია-ლუქსემბურგი.

ლექსო ცინცაძე

◎ ჩოგბურთი

საკუთარ ნიშნულს მიუახლოვდა

ოქსანა კალაშნიკოვა

ბოლო პერიოდში თბილისელმა ჩოგბურთელმა ოქსანა კალაშნიკოვამ რამდენიმე შეჯიბრებაში წყვილთა შორის კარგი შედეგები აჩვენა, რამაც საშუალება მისცა, 45-ე საფეხურზე დამკვიდრებულიყო. შეგახსენებთ, რომ ოქსანას საუკეთესო შედეგი — 43-ე ადგილი — წლეულს 13 ივნისს ჰქონდა. ამჟამად იგი მოსკოვში კრემლის თასზე (საპრიზო ფონდი 758.788 დოლარი) ასპარეზობს. რაც შეეხებათ დანარჩენ ჩვენს ჩოგბურთელებს, წინა კვირის შედეგებით ისინი, მართალია, მცირედით, მაგრამ კლასიფიკაციაში ჩამოქვეითდნენ.

ქალები

ერთეულები: 192 (190). სოფიო შაფათავა (284), 270 (269). ეკატერინე გორგოძე (173), 459 (458). მარიამ ბოლქვაძე (70), 521 (481). სოფიო ქვაცაბაია (53), 798 (794). ოქსანა კალაშნიკოვა (18), 1079 (1072). ანა შანიძე (7).

წყვილები. 45 (47). კალაშნიკოვა (1755), 188 (168). შაფათავა (360), 273 (262). გორგოძე (226), 391 (365). ქვაცაბაია (130), 589 (588). ბოლქვაძე (62), 719 (712). თათია მიქაძე (37), 1149 (1139). შანიძე (10), 1281 (1274). ლანა კენჭიაშვილი (3).

ვაჟები

ერთეულები. 109 (104). ნიკოლოზ ბასილაშვილი (545), 389 (340). ალექსანდრე მეტრეველი (112), 814 (829). გიორგი ცივაძე (22), 1752 (1752). ალექსანდრე ბაქში (1), 1752 (1752). შოთა მეფარიძე (1), 2062 (2057), გიორგი ჯავახიშვილი (1).

ლაშა დიდია

◎ ფეხბურთი

ჟოზე მოურინიოსა და „იუნაიტედის“ ანტირეკორდები

ჟოზე მოურინიოს თავის კარიერაში „ლეირიას“ მწვრთნელობის შემდეგ ყველაზე ცუდი სტარტი აქვს. პორტუგალიელმა სპეციალისტმა „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ერთად 8 ტურში მხოლოდ 14 ქულის მოპოვება შეძლო — სხვათა შორის, „განსაკუთრებულს“ ვან გაალზე უარესი მაჩვენებელი გააჩნია 8 ტურში — ჰოლანდიელს 16 ქულა ჰქონდა.

ამასთან, „ლივერპული“ — „მანჩესტერის“ შეხვედრა პრემიერლიგის ეგიდით 2005 წლის სექტემბრის შემდეგ პირველად დასრულდა მშრალი ანგარიშით 0:0.

„მანჩესტერს“ არც ბურთის ფლობაში სწყალობდა ბედი — „მანკუნიანელებმა“ ამ მხრივ მხოლოდ 35%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირეს, რაც 2003 წლის შემდეგ ამ კლუბის მიერ დამყარებული ანტირეკორდია.

„ლივერპულმა“ კი იურგენ კლოპის ხელმძღვანელობით მეორედ ვერ მოახერხა გოლის გატანა საკუთარ მოედანზე.

რვა ტურის შემდგომ „ლივერპულს“ 17, „მანჩესტერს“ კი 14 ქულა აქვს.

გიორგი ზოთაძე

◎ გრძნობის ანატომია

სიყვარულის ფორმულა

არარაციონალური გრძნობაა სიყვარული — კაცმა არ იცის, თუ რატომ ჩნდება იგი, ან მერე სად და როგორ ქრება უკვალოდ თითქოსდა ყოველგვარი მიზეზის გარეშე. მაშ, როგორ უნდა შევარჩიოთ „მეორე ნახევარი“ ისე, რომ არჩევანი მერე თავში სახლელი არ გაგვიხდეს?

მაინც რა პრინციპით ვირჩევთ ცხოვრების მეგზურს: გარეგნობით, ხასიათით, მატერიალური კეთილდღეობის თუ საერთო ინტერესების, ან იქნებ ღირსებებისდა მიხედვით? თუ მარტო სიყვარულის გრძნობის ქონა კმარა? კირკიტა მეცნიერებმა ყველაფრის გაანალიზება სცადეს და საკუთარი ვერდიქტიც გამოიტანეს.

ვნების თვისებების შესახებ

საუკუნეთა მანძილზე პოეტები სასიყვარულო სიმპტომატიკას აღწერდნენ: **აჩქარებული გულისცემა, ეიფორია, სატრფოს საზოგადოებაში მოჭარბებული სიმორცხვე და მორიდებულობა, კიდევ მრავალი სხვა.** ვიდრე შემოქმედებითი ნატურები მარჩიელობდნენ იმის თაობაზე, თუ საიდან ჩნდება „გულში ეს ცეცხლი“, მეცნიერებმა ზუსტად დაადგინეს, თუ რატომ ხდება ყოველივე.

აღმოჩნდა, რომ **ნაზი გრძნობის ყველა ეს ატრიბუტი შეყვარებულთა სისხლში განსაკუთრებული ცილის კონცენტრაციის მომატებით აიხსნება,** რომელიც ნერვების ზრდის ფაქტორს (ნზფ) წარმოადგენს. 1986 წელს ამერიკელ ბიოლოგ რიტა ლევი-მონტალჩინის ნზფ-ს აღმოჩენისთვის ნობელის პრემია მიენიჭა.

ეს მონაცემები მეცნიერებმა ერთმანეთზე უსაზღვროდ შეყვარებულ ადამიანზე მთელი რიგი ლაბორატორიული ტესტის ჩატარების შემდეგ მიიღეს. შედარებისთვის კი იგივე ტესტებს იმ ადამიანებზეც ატარებდნენ, ვისი გული სიყვარულისგან თავისუფალი იყო, აგრეთვე იმათზე, ვინც დიდი ხნის დაოჯახებული იყო. საკონტროლო ჯგუფების წარმომადგენელთა სისხლის მონაცემებისგან განსხვავებით, ნზფ-ს შემცველობა შეყვარებულთა სისხლში ყველა დონეს აჭარბებდა: **იგი 1,5-ჯერ მეტი იყო დიდი ხნის დაოჯახებულებთან და 1,8-ჯერ უფრო მაღალი მარტოხელებთან შედარებით.** მეტიც: ნზფ-ს დონე პირდაპირ კავშირში აღმოჩნდა იმ რომანტიკული გრძნობის ძალასთან, რომლითაც გამოკვლევის მონაწილენი ვნების შეთავაზებული შკალისდა მიხედვით აფასებდნენ.

პირველადი გამოკვლევიდან ერთი-ორი წლის შემდეგ, მისი მონაწილეების, რომლებმაც მართალია პარტნიორთან ურთიერთობა შეინარჩუნეს, მაგრამ გრძნობათა სიმძაფრე გაუნელდათ, ნზფ-ს შემცველობაზე სისხლის ხელახალი ანალიზი ჩაუტარეს. ცილის შემცველობა მათ გაცილებით ნაკლები აღმოაჩნდათ და საკონტროლო ჯგუფების წარმომადგენელთა მაჩვენებლებს მიუახლოვდა.

ამ აღმოჩენის შედეგად ცხადი გახდა, თუ რატომაა, რომ **მგზნებარე სიყვარული არ შეიძლება მარადიული იყოს.** ჰოდა, თუკი ეს ასეა, იქნებ ღირდეს ცხოვრების მეგზურის იმაზე უფრო საიმედო ნიშნებით შერჩევა, ვიდრე თუნდაც ორმხრივი მგზნებარე გრძნობაა.

ლამაზმანი და ურჩხული

მეცნიერულად დადასტურებულია, რომ საპირისპირო ნიშნები ერთმანეთის მიზიდულობას განიცდიან. თუკი ქალიშვილსა და ჭაბუკს სახის მსგავსი ნაკვეთები აქვთ, ისინი შესაძლოა, დამეგობრდნენ, მაგრამ ნაკლებადაა სავარაუდო, რომ ერთმანეთისადმი რომანტიკული ლტოლვა გაუჩნდებათ. შოტლანდიელმა მეცნიერებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს: სტუდენტებს იმ პირთა ფოტოსურათებს უჩვენებდნენ, ვინც მათ ჰგავდნენ. თავდაპირველად მკვლევარებმა მოხალისეებს იმ ადამიანთა ფოტოების გადარჩევა სთხოვეს, **ვისაც, მათი აზრით, ადვილად მიენდობოდნენ. აღმოჩნდა, რომ უმრავლესობამ ისინი აირჩია, ვინც გარეგნულად მათ ჰგავდა. ხოლო როცა საქმე პოტენციურ სექსუალურ პარტნიორთა შერჩევაზე მიდგა, სტუდენტთა უმრავლესობამ არჩევანი იმათზე შეაჩერა, ვინც მათ სრულებით არ ჰგავდა.**

როგორც ჩანს, ეს იმიტომ ხდება, რომ ისინი, ვინც ჩვენ გვგვანან, შესაძლოა, ჩვენი ოჯახის წევრები იყვნენ, ამდენად მათი ნდობა შეიძლება. ნათესავებთან სასიყვარულო ურთიერთობათა გაბმას კი უმრავლესობა ჩვენგანი ქვეცნობიერად გაურბის. ამიტომაცაა, რომ შავგვრემან მამაკაცებს უფრო ქერათმიანი ქალები, ღია ფერის ყმაწვილებს კი შავგვრემანი ქალიშვილები მოსწონთ.

ხასიათისა და საერთო ინტერესების შესახებ

ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ის, რაც სამართლიანია გარეგნობასთან დაკავშირებით, ყველაფერ დანარჩენსაც სავსებით ესადაგება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სხვადასხვა ხასიათის ადამიანები ერთმანეთისთვის მიმზიდველნი უნდა იყვნენ. სამწუხაროდ, მეცნიერთა გამოკვლევებით დადგინდა, რომ ეს მცდარი მოსაზრებაა. ექსპერიმენტების შედეგად გაირკვა, რომ **ცოლ-ქმრობაში გაცილებით ბედნიერები დაახლოებით ერთნაირი ხასიათის ადამიანები არიან.** 300 ცოლქმრული წყვილის გამოკვლევისას მეცნიერებმა დასკვნა გამოიტანეს, რომ **ქორწინებაში ერთობლივი ბედნიერების მისაღწევად ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებებია გულღიობა, ლაღი ხასიათი და მოწესრიგებულობა.**

საინტერესოა, რა როლს ასრულებს ამ შემთხვევაში ინტერესთა ერთობლიობა? აღმოჩნდა, რომ ბედნიერი ქორწინებისთვის მას რაიმე პირდაპირი მნიშვნელობა არა აქვს. ამიტომაცაა, რომ არც ცოლმა, არც ქმარმა მეუღლის ინტერესების საკუთარი ინტერესებისადმი დამორჩილება არ უნდა მოიწადინოს.

მოამზადა
ნინო ალექსანდრიამ

სანთელი

კავსაძეების ოჯახი იუწყება, რომ გარდაიცვალა

სოსო კავსაძე

პანაშვიდი 20, 21 X, 17 სთ. მის. ყიფშიძის 20ა.
გამოსვენება 22 X, 14 სთ. ვაკის სამების ეკლესიიდან.

განახლებული გზით შალოშვილის ღვინის მარანთან

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ შილდაში ღვინის მარანთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია დაასრულა. რეაბლიტირებული გზა მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ჯუანშერ ბურჭულაძემ დაათვალიერა. პროექტი საქართველოს მთავრობის დაფინანსებით განხორციელდა.

პროექტით გათვალისწინებული იყო 300 მ-იანი გზის რეაბილიტაცია, რომლის სავალი ნაწილის სიგანე 5-6 მ-ია. მოეწყო ტროტუარი და გარე განათება, მოასფალტდა ასევე მოედანი.

„შალოშვილის ღვინის მარანთან“ მისასვლელი გზით, ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ შილდის მკვიდრი მოსახლეობის გარდა, სარგებლობენ „შალოშვილის ღვინის მარნის“ დამთვალიერებლები, მათ შორის, უცხოელი ტურისტები.

შატილში მცირე ჰესი მწყობრში დგება

მცირე ჰესის მწყობრიდან გამოსვლის გამო, შატილში შექმნილი მდგომარეობის აღმოსაფხვრელად და ადგილობრივი მოსახლეობისათვის პირობების შესამსუბუქებლად, ყველა შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურა და ადგილობრივი ხელისუფლება კოორდინირებულად და ოპერატიულად მუშაობს.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, შატილში მწყობრიდან გამოსული მცირე ჰესის რეაბილიტაცია დაზიანების დღიდან დაჩქარებულ რეჟიმში მიმდინარეობს და ერთი თვის განმავლობაში დასრულდება, რისთვისაც ენერგეტიკის სამინისტროს შესაბამისი სამსახურები საგანგებო რეჟიმში მუშაობენ. მცირე ჰესის რეაბილიტაციის შემდეგ კი, შატილს სრული, 24-საათიანი ელექტრომომარაგება აღუდგება.

„ჰესის აგრეგატების დაზიანების მიუხედავად, შატილის მოსახლეობა დენის გარეშე არ არის დარჩენილი, რადგან, ენერგეტიკის სამინისტროსა და „თელასის“ დახმარებით, შატილში ჩატანილია დენის მძლავრი გენერატორი (65 კვტ) და 7 ტონა საწვავი, რის შედეგადაც, სოფლის მოსახლეობას ელექტროენერგია გრაფიკით მიეწოდება (დილის 9:00 სთ-დან- 11:00სთ-მდე; საღამოს 19:00 სთ-დან — 23:00სთ-მდე, სულ — 6 საათი). გარდა ამისა, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ, შატილის სკოლა-ინტერნატი მარაგდება შეშით, ხოლო იქ მცხოვრებ ოჯახებს (სულ 13 ოჯახი) 25 კუბური მეტრი საშეშე მერქანი დაურიგდებათ. ასევე, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, ჟინვალი-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზაზე, კერძოდ უღელტეხილზე, მობილიზებულია შესაბამისი ტექნიკა და უამინდობის შემთხვევაში, განხორციელდება გზის გაწმენდითი სამუშაოები. ამ დროისთვის ჟინვალი-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზაზე, კერძოდ უღელტეხილზე, თოვლის საფარი 10 სანტიმეტრს არ აღემატება“, — აცხადებენ ადმინისტრაციაში.

განცხადება

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2016 წლის 18 ოქტომბრის ნომერში - სოფ. ვაზიანის ასფალტბეტონის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვასთან დაკავშირებით, გამოქვეყნებულ განცხადებაში შეტანილია ცვლილება. ცვლილების მიხედვით, დაინტერესებულ პირებს გზშ-ს ანგარიშთან დაკავშირებული შენიშვნებისა და კომენტარების წარმოდგენა შეუძლიათ, 2016 წლის 2 დეკემბრის 18 საათამდე.

შპს „ჯი სი ჯი“-ს ადმინისტრაცია

სტუმრად აჭარაში

პროექტ „გაიცანი საქართველოს“ ფარგლებში აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა ქართული მედიის წარმომადგენლებს უმასპინძლა. პროექტი მიზნად შიდა ტურიზმის პოპულარიზაციას ისახავს და ის საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ ხორციელდება.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა მედიატურის მონაწილე ცენტრალური ტელევიზიების 25-მდე წარმომადგენლისთვის სპეციალური პროგრამა შეიმუშავა, რომლის ფარგლებშიც ჟურნალისტები აჭარის ტურისტულ შესაძლებლობებს შემოდგომაზე გაეცნენ.

ტური ქობულეთიდან დაიწყო, სადაც მედიატურის მონაწილეებმა აჭარაში ახალი ტურისტული ადგილი აგროსერვის ცენტრის ღვინის სახლი მოინახულეს, იქ დანერგილ სერვისებს გაეცნენ, დაათვალიერეს სადემონსტრაციო ვენახი და მარწყვის სათბური. იქვე ჟურნალისტებმა ქობულეთისთვის დამახასიათებელი კერძები დააგემოვნეს და ერთ-ერთი პოპულარული კერძის „აჩმა“ მომზადების მასტერკლასსაც დაესწრნენ. მედიატური აგროსერვის ცენტრის ციტრუსის სადემონსტრაციო ბაღში გაგრძელდა, სადაც ჟურნალისტებმა საადრეო მანდარინის დაკრეფის პროცესში მიიღეს მონაწილეობა. მედიატურის მეორე დღეს კი მათ საშუალება მიეცათ შუა ზღვაში თევზაობის პროცესი გადაეღოთ და ბათუმში წარმოდგენილი თევზის სახეობები დაეგემოვნებინათ.

პროექტ „გაიცანი საქართველოს“ ფარგლებში აჭარას ქართული ჟურნალისტიკის ცნობილი სახეებიც სტუმრობდნენ. მედია ტურში საქართველოში არსებული ყველა წამყვანი ტელევიზიის გადამღები ჯგუფები იმყოფებოდნენ.

◎ სათრეველა

დანაგვიანებული გზა

პასუხად „ხუთიანით“
ამომხუთველ ორმოცდახუთს

მწარე ხსოვნა შეგვრჩა
ცოცხლებს
და როდესაც ვიღაც ცოცხებს,
გვირჩევს ცოცხებს
და კვლავ ცოცხებს
გვპირდება,
დაფიონის ამ ფიორი
სიყალბით და აფიორით
ჩვენი ზეცა აღარ
დაიბინდება!

ვისაც უნდა რიარია,
სწორედ მისი პიარია
მოწოდება მავანთა;
ლაშა ხარ თუ ნიანია,
არა მარტო გვიანია, –
ვერ გრძნობთ, რომ
ნაგვიანია
გზა უკუღმა მავალთა?!

ალექსანდრე შენგელია,
ქუთაისი

კურსი დასტაბილურდება და გამყარდება!

ლარის კურსთან დაკავშირებით ფინანსთა მინისტრი აცხადებს, რომ ეროვნული ვალუტა საშუალოვადიან პერიოდში დასტაბილურდება და გამყარების ტენდენციას შეინარჩუნებს.

„გაცვლითი კურსის ცვლილება გამოწვეული იყო ერთჯერადი ტრანზაქციებით. არაერთი განცხადება გაკეთდა როგორც ჩვენი მხრიდან, ასევე ეროვნული ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხრიდან, რომ კურსი დასტაბილურდება და საშუალოვადიან პერიოდში შეინარჩუნებს გამყარების ტენდენციას“, – განუცხადა ნოდარ ხადურმა ჟურნალისტებს.

◎ ანეკდოტები

დიალოგი დასავლეთის მიმართულების მატარებელში:

– მაპატიეთ, პატივცემულო, მაგრამ მაგ ჟურნალს თუ არ კითხულობთ, ზემოდან რომ აზიხართ, მათხოვებდეთ იქნებოდეს იქნება!..

* * *

ჯანდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანი ეკითხება ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტს, რომელსაც გამოსაწერად ამზადებს:

– თუ ხართ კმაყოფილი თქვენი აქ ყოფნით?

– დიახ, კმაყოფილი ვარ. სხვათა შორის, აქ თქვენც გიმკურნალებენ.

– კი მაგრამ, ბატონო, მე ჯანდაცვის მინისტრი ვარ!

– ნუ გეშინია, ჩემო კარგო, ვიდრე აქ მოვხვდებოდი, მეც რესპუბლიკის პრეზიდენტი ვიყავი!

* * *

სასარგებლო რჩევა ხელისუფლებას: **ხილის ყველასთვის დარიგებას, უმჯობესია, ის აკრძალულად გამოაცხადოთ.**

* * *

– დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ქმარი საავადმყოფოდან ძალიან დიდხანს არ გამოვა, – ეუბნება დამწუხრებული ცოლი დაქალს.

– რა, მის მკურნალ ექიმს ელაპარაკე?

– არა, სამაგიეროდ, მისი მომვლელი მედდა ვნახე!..

* * *

– ძვირფასო, იქნებ მაღაზიაში გახვიდე, რამე ნუგბარი წამოიღო.

– კი მაგრამ, ჩემო სიცოცხლევ, ვერ ხედავ, რა თქვენია?! ასეთ ამინდში კარგი პატრონი ძაღლს არ გააგდებს ქუჩაში.

– ღმერთო ჩემო, რა უბედურებაა! კარგი, მაშინ უძაღლოდ წადი!

რუსეთი ქართული ფილმების არქივს გადმოგვცემს

„უახლოესი კვირების მანძილზე იწყება პროცესი ჩვენი ფილმების არქივის გადმოტანისა რუსეთიდან“ – ეს განცხადება რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა ზურაბ აბაშიძემ პრაღაში გამგზავრებამდე გააკეთა, სადაც მისი და გრიგორი კარასინის მორიგი შეხვედრა უნდა შედგეს:

„შემიძლია, ერთი თემა დავაანონსო, საკმაოდ სასიამოვნო ინფორმაცია მივაწოდო ჩვენს საზოგადოებას. უახლოესი კვირების მანძილზე იწყება პროცესი ჩვენი ფილმების არქივის გადმოტანისა რუსეთიდან. ამ წლის იანვრიდან საგრძნობლად გამარტივდა სავიზო მოთხოვნები საქართველოს მოქალაქეებისთვის, მაგრამ თუ არის რაღაც წინსვლა, მათ რაღაც განცხადებები გააკეთეს რამდენიმე თვის წინ, რომ თითქოს კიდევ უფრო გამარტივებას ფიქრობენ და გეგმავენ, მოვისმენთ ამას და თუ იქნება რაიმე ინფორმაცია ჩამოვიტანთ“, – განაცხადა აბაშიძემ.

ცხელ ამინდში ცივი შხაპი...

ბევრ ჩვენგანს, ალბათ, ხშირად სმენია, რომ ტანის დაბანა გარკვეული პერიოდულობითაა საჭირო, რათა კანს დამცველი შრე არ გადაეცალოს. არადა, სიცხეში გაგრილება ხომ ასე სასიამოვნოა...

ყოველდღიურად სარეცხი საშაულებების (საპნის, სხვადასხვა გელების, შამპუნების) გამოყენება, განსაკუთრებით კი ხისტ წყალში, მართლაც არღვევს კანის დამცველ შრეს, ამიტომაც ზაფხულობით უმჯობესია შხაპის მიღება ყოველგვარი სარეცხი საშულებების გარეშე. ეს კანსაც კარგად ასუფთავებს და სხეულსაც აგრილებს. დაბანისას სარეცხი საშუალებები კი კვირაში 2-3-ზე მეტად არ უნდა გამოიყენოთ.

ფსიქოზისგან დაცვა

ცხიმის გაუჯერებელი მჟავები, **რომლებსაც, კერძოდ, ცხიმიანი თევზი შეიცავს, ადამიანს ფსიქიკური დაავადებების განვითარებისგან იცავს, – დაადგინეს გერმანელმა მეცნიერებმა.**

ფსიქიკურ დაავადებათა მიმართ მიდრეკილების მქონე მოხალისეები ორ ჯგუფად დაჰყვეს. პირველი ჯგუფის წევრები ომეგა-3 გაუჯერებელ ცხიმებს იღებდნენ, მეორე ჯგუფის წევრები კი ამ პროდუქტს საერთოდ იყენენ მოკლებული.

დაკვირვების 7 წლის შემდეგ, ფსიქიკური დაავადება პირველი ჯგუფის ორ წევრს შეეყარა, კერძოდ, ფსიქოზი და შიზოფრენია. მეორე ჯგუფში კი სხვადასხვა ფსიქიკური აშლილობით 11 კაცი დაზარალდა.

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

◎ ინტერნეტიდან

შორით ტრფობა ბრაზილიურად

არახალი ამბავია, **რომ ბრაზილიელი მოდელი ჟიზელ ბუნდჩენი ჩვენს პლანეტაზე ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ ქალად ითვლება და ჟიზელის სილამაზისა და სიკისკასის წინაშე ქედს მისი მრავალი მეტოქე და კონკურენტიც იხრის. ისიც ბუნებრივია, რომ ჟიზელზე მრავალი მამაკაცია შეყვარებული.**

თურმე ნუ იტყვით და ჟიზელ ბუნდჩენის ტრფობა გულში ბრაზილიელ ფეხბურთელ რაფაელსაც ჩავარდნია და ამას არც კი მალავს. ცოტა ხნის წინათ რაფაელმა თანამემამულე მოკალმეებს ნახევრად ხუმრობით გაუმხილა, რომ ტანაშოლტილი ჟიზელი მისი ოცნების ქალია.

ოცნებას კაცი არ მოუკლავსო, ნათქვამია და ვითომ რატომ უნდა აუკრძალოს რაფაელმა საკუთარ თავს ოცნება? მავანი იმას კი იძახის, მაგას ბუნდჩენი კოპაკაბანას პლაჟიდანაც კი არ დაანახვებს თავის სილამაზესო, მაგრამ ხელის ჩაქნევა რა ვაჟკაცის საქმეა?!...

როსტომ რაჭველიშვილი

განცხადება

იყიდება დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან“ ორასიოდე მეტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გალავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშკართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი – შეთანხმებით. ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.3537; ევრო - 2.5942;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 2.8670;
100 რუბლი - 3.7183; თურქული ლირა - 0.7584;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4766;
1000 სომხური დრამი - 4.9333.

ამინდი 19 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +1,	დღე +12
მთიანი რაიონები -	ღამე -1,	დღე +10
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +5,	დღე +20
მთიანი რაიონები -	ღამე +0,	დღე +14
თბილისი:	ღამე +4,	დღე +10

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE